## პრეზიდენტი

# ერთიანი ძალისხმევით ტერორიზმის წინააღმდეგ



ტერორიზმის წინააღმდეგ ძალისხმევის გაერთიანება იყო 15-17 მაისს ბორჯომში გამართული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების უშიშროების ორგანოთა ხელმძღვანელების საბჭოს მეთორმეტე სხდომის ძირითადი მიმართულება.

სამდღიანი სხდომის შემდეგ, 17 მაისს საბჭოს წევრები საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეწვიენენ და სხდომის უმთავრესი შედეგები გააცნეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა მათ და აღნიშნა, რომ ამგვარი შეხვედრები არა მარტო უწყებათა, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავების საწინდარია.

საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ საქართველოს პრეზიდენტს გააცნო ბორჯომში გამართული შეხვედრების შედეგები და აღნიშნა, რომ სხდომაზე, რომლის მუშაობაშიც 11 სახელმწიფოს დელეგაცია მონაწილეობდა, მნიშვნელოვანი დოკუმენტები მიიღეს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროების ორგანოთა ხელმძღვანელების საბჭოს თავმჯდომარემ, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ პატრუშევმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრის უმაღლეს დონეზე ორგანიზებისა და იმ საქმიანი ატმოსფეროსათვის, რომელმაც მათ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა მისცა.

იხ. მე-2 გვ.

## სტიქიის შედეგების დასაძლევად

# ქართული კულტურის 300 ძეგლი არ დანგრეულა, რაც დაზიანდა, მალე აღდგება!



ამ დღეებში ქართულ მასმედიაში გაჩნდა ერთობ შემაშფოთებელი ცნობა — 25 აპრილს თბილისის მიწისძვრამ ქართული კულტურის 300-მდე ძეგლი დაანგრიაო.

ეს ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვათ, გაზვიადებულია. როგორც მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური საქალაქო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიგა ბათიაშვილმა გუშინ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან თბილისელებს ამცნო, კულტურის ძეგლად მიჩნეული თბილისის ძველი არქიტექტურული სახლები და ეკლესია-მონასტრები კენჭები არ არის, რომ ზუსტად ვერ დავთვალოთ...

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 22719 მკითხველი. მათ შორის 56% აშშ-დან, 23% გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს. აღდგენილია 1990 წელს. №118-119 (4178) შაბათი, 18 მაისი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

## „უჩინმაჩინები“ დიდ კორუფციაში

# ასეთი ფული ვის შეერგება

არა და არ დაესვა წერტილი თაღლითობისა და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების გზით დევნილთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების „მოტეხვას“, გამოგონილ პირთა სახელზე ყალბი დოკუმენტების შექმნას და წლების განმავლობაში მუქთა ფულის ჭამას...

სამართალდამცველებმა ახლახანს ამხილეს ვინმე ლიანა ხუბულავა, რომელმაც ხუთი წლის მანძილზე 37 არარსებული, მოგონილი პირის სახელით 8.222 ლარი მიითვისა. იგი, ცხადია, პირველი არაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი ყოფილა.

იხ. მე-2 გვ.

**ბორჯომში, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დევნილის სტატუსის არმქონე 135 პირზე გაცემულია 20.058 ლარი. თუ კონკრეტულად ვინ მიითვისა ეს თანხა, ამას გამოძიება დაადგენს.**

## ცრუინტელექტუალური ფაშიზმი

# „სად დაიკარგა სულიერება, რად გაიცრიცა მკერდზე პირჯვარი?“

## ...და რჩებიან ნაციონალისტები საქართველოს გარეშე

ბედკრული საქართველო! — არასოდეს დავთანხმებულვარ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის ამგვარად წარმოჩენას. ახლა კი ცოტა შევეჭვდი, და ჩემს სიმტკიცესაც შეეპარა ბზარი.

დიახ, სიმტკიცეს, რადგან ვერც სახელწიფო გადატრიალებამ, ვერც სამოქალაქო ომმა, — ქართველთა დაპირისპირებებს ვგულისხმობ, — ვერ გამინელა ოპტიმიზმი, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება.

ახლა კი...

იყო დაპირისპირება და დრომ გააფერმკრთალა მკვეთრი პალიტრა, იყო საძმოების თარეში და რბევა, მაგრამ მოთმინების ფიალაავსებული ხალხისა და ხელისუფლების ერთსულოვნებამ დიდი წერტილი დაუსვა ამ პროცესებსაც. კორუფციის ოკეანეს სერავდა ერთიანი აზრი, ხელისუფლებაში ყველა რომ უმწიკვლო რეპუტაციისა იყოს, ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდითო და ახლა მთავრობის წევრთა ახალი შემადგენლობის ნახვით დაიმედებულმა ხალხმა ემოციის ღუზა ჩაუშვა.

აი, ამას ეფუძნებოდა ჩემი ოპტიმიზმი.

რადგან სახელმწიფოს შექმნას, ქვეყნის ფეხზე დადგომას, რომელიც ამწამიერი კი არა, ხანგრძლივი პროცესია და სკრუპულოზურ მიდგომასთან ერთად გლობალურად აზროვნებასაც მოითხოვს, ყოველთვის თან ახლავს ტკივილები. ისევე, როგორც მშობიარობას. ტკივილის შეგრძნებას ავიწყებს ჩვილის ღუღუნი დედას და ამიტომაცაა, რომ მრავლდებოდა, ფენიქსივით ფერფლიდან აღდგებოდა ხოლმე საქართველო. ქართველი კაცისა და ქართველი ქალის გენებში იდო, მუხტი უძლიერდებოდა, გაუსაძლისის გაძლების, აუტანელის ატანის, ჭირის ლხინით შეცვლის იმედით ცოცხლობდა საქართველო. იმლებოდა და ერთიანდებოდა, ინგრეოდა დბ შენდებოდა, იყო ღალატი და იყო ერთგულების, სამშობლოსთვის თავდადების, გმირობისა და რაინდობის მაგალითები. ამიტომაც გადავრჩით.

იხ. მე-2 გვ.




რომელი სამშობლო მოგვიწოდებს? თუ სამშობლოს სახელს ამოფარებული მედროვენი?

ირაკლი თოიძის ომისდროინდელი პლაკატის დღევანდელი ვარიანტი.

## შევეწიოთ!

# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ენერგეტიკის და ელექტრო-მრეწველობის პროფკავშირთა საბჭო | – 100 ლარი; |
| გიორგი გარიშვილი | – 110 ლარი; |
| ლ. ბერძენიშვილი | – 10 ლარი; |
| მამუკა გურგენიძე | – 3 ლარი; |
| დავით იაშვილი | – 10 ლარი; |
| გურამ და გიორგი ახვლედიანები | – 20 ლარი; |
| თათია სვანიძე | – 10 ლარი; |
| ნანა ბლიაძე | – 3 ლარი; |
| ნანა ქავთარაძე | – 10 ლარი; |
| ციცო გულიტაშვილი | – 10 ლარი; |
| რეზო მაჭარაშვილი | – 10 ლარი; |
| გიორგი მასხარაშვილი | – 40 ლარი; |
| აკა, სოფო და მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი; |
| ლალი ლაზაშვილი, თემურ მაისურაძე | – 50 დოლარი. |

## გიხაროდენ!

# ბოლნისში, ქემაშვილების ოჯახში სტუმრიანობაა



ბოლნისელ ახალგაზრდებს ნატო მანაგაძესა და ზაზა ქემაშვილს ამ დღეებში მეორე შვილი შეეძინათ, გოგონა — ნათია. ნატო ექიმმა ლარეჯან ჩხეტიანმა ამშობიარა ბოლნისის სამშობიარო სახლში, სადაც სამედიცინო პერსონალს მოსალოგინებლად მოსული ქალებისთვის კარგი პირობები აქვთ შექმნილი. მათი ყურადღება არ მოჰკლებია დედა-შვილს.

ნათიას შინ ცხრა წლის ძმა — შოთიკო დახვდა.

ახალგაზრდა ქემაშვილების ოჯახში სტუმრიანობა დღემდე გრძელდება. შვილიშვილით გახარებულ ბებია-ბაბუამ მზია და ჯემალ მანაგაძეებმა. ახლა დიდი ბებიის ნინას სიხარულს არ იკითხავთ? – მოხუცი შვილიშვილის შვილის მოსწრებას ხარობს.

ეს ამბავი თბილისში მცხოვრებმა, აფხაზეთიდან დევნილმა ნატოს დეიდამ, ლეილა ჩხეტიანმა გაგვიზიარა.

**უფლის წყალობა და სიხარული არ მოშლოდეთ ქემაშვილების ოჯახს!**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## შტრიხი



ვაჟა ოთარაშვილი

# ზვარაკნი

(დიმიტრი შევარდნაძის და ქეთევან მაღალაშვილის გამოფენის „ორნის“ ნახვის შემდეგ)

მომეჩვენა რომ ქორწილში ვიყავ
...
დიდოს ნიშთან მტკვარმა გამორია,
ტიციანის მიხაკი და ქნარი...
ტივზე დიტო ზვარაკივით იდგა,
გაჰყურებდა საქორწინო ფატას...
და მიხეილ ჯავახიშვილს ხიდთან
ფიროსმანმა ჯვარი დაუხატა...
მაღალხანთ ყელმაღალი ქალის,
დაეფარა სახე ცრემლს და მირონს...
მუშანიკის საფლავს ცოცხალ-მკვდარი,
მიეახლა თითქოს წმინდა ნინო...
ააფეთქონ ტაძარიო უნდათ,
გადუარა ქრჟოლვის ზარმა მაყარს...
ფიცხი სანდრო ახმეტელის გულთან,
ნატყვიარი წააგავდა მაყვალს...
ჯავახიშვილს ვინ უწოდა „მტერი“
ან „ორგული“ შევარდნაძე დიტოს?
ლერწამივით ირწეოდა ერი,
ტაძრის ბედი ღმერთმა გადაწყვიტოს...
და გადარჩა ძალით - უფლის მადლის,
საგოდებლად, სალოცავად ოდენ...
უსაფლაოდ დარჩენილი მხატვრის
სულნი ზედა მეტეხისა ჰქროდნენ...

მაისი, 2002 წ.

## აქცენტი

# მიხეილ ნანეიშვილი: „ვინც საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებასა და სისხლისღვრას წინასწარმეტყველებს, შესაძლოა, თავადვე გეგმავდეს ამას!“

ან უკვე ყოფილ მმართველ პარტიაში, ანუ მოქალაქეთა კავშირში, ასე ვთქვათ, „სეპარატისტული“ განწყობილებები კარგა ხნით ადრე თანდათანობით გაღვივდა, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში ამ პროცესმა თავის კულმინაციას მიაღწია. მას შემდეგ, რაც პარტიის ერთმა ფრთამ მოქალაქეთა კავშირი ოპოზიციურ დაჯგუფებად გამოაცხადა, ყოფილი მმართველი პარტიის მემკვიდრეობის მოსაპოვებლად ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა.

იხ. მე-3 გვ.

## რესტავრაცია

# ჭავჭავაძეთა კოშკია ნაფუძარი იმედის თვალით იმზირება



**წინანდალი** — კახეთის და მთელი საქართველოს ედემის ბაღი. ვინ იცის, ამ გზით ჭავჭავაძეთა მუზების საუფლოსკენ მერამდენედ მივემართები. ბაღის ჭიშკართან ასწლოვანი ნაძვები, კვიპაროსები, ბეჭგანიერი მუხები, მაგნოლიები, სხვანი და სხვანი მეგებებიან და უსასყიდლოდ მიწევენ მეგზურობას.

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

**„საჰაერო სივრცის დარღვევა შემჩნეულია“**

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მონაკვეთების მონიტორინგს ამჟამად 23 ქვეყნიდან ეუთოს 54 მეთვალყურე ახორციელებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს ეუთოს მისიაში განუცხადეს, მეთვალყურეთა მიერ კონტროლირებად ზონაში სიტუაცია სტაბილურია და სახმელეთო საზღვარზე დარღვევები არ დაფიქსირებულა.

ამასთან, ამოუცნობი თვითმფრინავები და ვერტმფრენები საჰაერო სივრცეში შემჩნეულია.

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე მონიტორინგი 2000 წლიდან, ხოლო ინგუშეთის – 2002 წლიდან მიმდინარეობს.

**როდის უნდა ამოდუღდე, ღარიბების ბედის გაზო?!**

თბილისის მოსახლეობას დღეიდან შესაძლოა, გაზის მიწოდება აღუდგეს, რომელიც ხუთშაბათს შეწყდა „საქგაზის“ მიმართ „თბილგაზის“ დაგროვილი დავალიანების გამო.

როგორც ჟურნალისტებს განუცხადა „თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ, „საქგაზისადმი“ აპრილის თვის დავალიანება 3 მლნ 200 ათასი ლარი, რომელიც მაისის ბოლომდე უნდა გადახდილიყო, ეტაპობრივად დაიფარება.

**სამხედრო მოლაპარაკება გაგრძელდება**

ივნისის დამდეგს გაიმართება საქართველო-რუსეთის სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკების მერვე რაუნდი.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, ხოლო რუსეთისას – ვიცე-პრემიერი ილია კლებანოვი.

**წინასაარჩევნო დანაშაული**

გორის გამგებლობის კანდიდატს პაატა ჩხეიძეს, რომელიც ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელია, უცნობმა პირებმა მანქანა მოჰპარეს, გატაცების ადგილზე კი გამგებლობის კანდიდატს მუქარის წერილი დახვდა. მოგვიანებით პოლიციამ და პარტიის წევრებმა გატაცებული 06 მარკის ავტომობილი გორის გარეუბანში გაძარცული და დამტვრეული იპოვეს. ჩხეიძე ამ ფაქტს ახალი მემარჯვენეების პოლიტიკურ დევნას უკავშირებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## სიკეთე

# საქართველოს ღირსეული დესპანი

**ქართველი მამულიშვილი სოჭში აფხაზეთიდან დევნილებისა და ქართველთა სათვისტომოს ქომაგია**

სოჭში აფხაზეთიდან დევნილთა მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩასულს არაერთხელ მსმენია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩევლების რიდი ჯოლაგუასა და როზა მუსერიძისაგან დემურ ბაღდავაძეზე, კაცზე, რომელიც ფსოუს იქით განდევნილ 3100 ქართველზე — სოჭში, ადლერში, პლასტუნკაში, ხოსტაში მცხოვრებ თანამემამულეებზე ზრუნავს.

იხ. მე-3 გვ.

## უკანასკნელ საათს



სასამართლო სამედიცინო ექსპერტები პაკისტანში იკვლევენ დანაწევრებულ გვამს, რომელიც ყარაჩის მახლობლად აღმოაჩინეს. ვარაუდობენ, რომ ეს ჟურნალისტ დანიელ პერლის გვამის ნარჩენებია.

პოლონეთის პრეზიდენტმა კვასნევსკიმ გადადო ვიზიტი უკრაინაში, მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც უგზო-უკვლოდ დაღუპულ პოლონელ მებრძოლებს ეძღვნება.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +16; | დღისით +28 |
| მთაში: | ღამით +10; | დღისით +24. |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +12; | დღისით +26. |
| მთაში: | ღამით +7; | დღისით +21. |

**თბილისში**

ღრუბლიანი ამინდი, უნალქოდ, სუსტი ქარი.
ღამით +12; დღისით +26.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

9 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.2465 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.22 ლარი |
| ევრო | 1 | 2.0235 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0711 ლარი. |

## ინტერპანორამა



გუშინ ისრაელის არმია ქალაქ ჯენინში შევიდა. ჯავშანმანქანების ქალაქში და ლტოლვილთა ბანაკში შეჭრას გააფთრებული სროლები მოჰყვა. მსხვერპლის შესახებ ცნობები არ არის. არმიამ მალევე დატოვა ჯენინი.



გუშინ ცნობილი გახდა, რომ მარტში 101 წლის ასაკში გარდაცვლილმა დიდი ბრიტანეთის დედა-დედოფალმა მთელი თავისი ქონება დედოფალ ელისაბედ მეორეს დაუტოვა. ანდერძის დეტალებს არ აქვეყნებენ.



# შპს „საქართველოს რკინიგზა“ The Georgian Railway Ltd

შპს „საქართველოს რკინიგზა“ იცავს თავის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას საზოგადოების მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წილის შესახებ.

2002 წლის პირველ ოთხ თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა, რომელიც 400 ათასი ტონით აჭარბებს შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტში და სახელმწიფო ფონდებში გადარიცხულ იქნა 3 401 ათასი ლარით მეტი შარშანდელთან შედარებით.

გთავაზობთ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმდინარე წლის ოთხ თვეში ქვეყნის ბიუჯეტში და სახელმწიფო ფონდებში შეტანილი თანხების მონაცემებს:

**საქართველოს რკინიგზის ბიუჯეტში შეტანილი თანხები: (ათასი ლარი)**

| გადასახადის სახეობა | 2002 წლის 4 თვე |
|---|---|
| მოგების გადასახადი | 11 |
| დღგ | 9 146 |
| ქონების გადასახადი | 781 |
| საშემოსავლო გადასახადი | 1 586 |
| სამეწარმეო გადასახადი | 419 |
| მიწის გადასახადი | 27 |
| სოციალური გადასახადი – 27 პროცენტი და დასაქმების ფონდი – 1 პროცენტი | 3 611 |
| საბაჟო გადასახადი | 619 |
| გადასახადი საგზაო ფონდში | 298 |
| გადასახადი ჯანდაცვის ფონდში – 3 პროცენტი | 392 |
| სულ | 16 890 |

შპს „საქართველოს რკინიგზა“ მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს)-ის მიხედვით.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი ა. ჩხაიძე.


„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 118-119. შაბათი, 18 მაისი, 2002 წელი.

პრეზიდენტი

# ერთიანი ძალისხმევით ტერორიზმის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

როგორც ბორჯომში გამართულ სხდომაზე, ასევე საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე უმთავრესი თემა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. უშიშროების ორგანოთა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ტერორიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის არათუ ცალკეულ სახელმწიფოებს, არამედ მთელ მსოფლიოს, მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი ძალისხმევის შედეგად დაიძლევა.

საქართველოს პრეზიდენტმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბრისას ყურადღება მიაპყრო მისი მკვებავი წყაროების (როგორებიც არის აგრესიული ნაციონალიზმი და სეპარატიზმი) საშიშროებასა და მათ წინააღმდეგ ერთიანი მეტევის აუცილებლობას.

ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილებით ილაპარაკა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის იმ გონიერული პოლიტიკის შესახებ, რომლის წყალობითაც დღეს მსოფლიოში ბევრი ბარიერი იშლება, ამის ნათელი დადასტურებაა ნატოსა და რუსეთის დაახლოების ის პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებასთან ერთად მხარეებმა ისაუბრეს იმ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზეც, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაული და ნარკობიზნესი. როგორც აღინიშნა, ამ დანაშაულობებმა უკვე ტრანსნაციონალური ხასიათი მიიღო. უშიშროების სამსახურები ამ კუთხითაც კოორდინირებული მოქმედების გააქტიურებას გეგმავენ.

საქინფორმი.

# აშშ-საქართველოს „წვრთნისა და აღჭურვის“ ფართომასშტაბიანი პროგრამა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს



17 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რიჩარდ მაილსს და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მრჩეველს ოთარ შალიკაშვილს.

შეხვედრაზე განიხილეს იმ დახმარების პროგრამის მიმდინარეობა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევს ჩვენს ქვეყანას. ითქვა, რომ აშშ-საქართველოს „წვრთნისა და ალჭურვის“ ფართომასშტაბიანი პროგრამა გრაფიკის მიხედვით ხორციელდება. როგორც ამერიკელ სამხედრო ინსპექტორთა, ისე ქართველი სამხედროების განწყობილება, ამ საქმეში მიღწეული პროგრესი დამაიმედებელია.

ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, რომელმაც ეს გაბედული გადაწყვეტილება მიიღო გლობალური ანტიტერორისტული ოპერაციის ღონისძიებათა ფარგლებში, რაც კარგი ნაბიჯია ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავების გზაზე.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ასეთი მოსმენა პროგრამის მიმდინარეობის შესახებ რეგულარულად გაიმართება საქართველოს პრეზიდენტთან და ეროვნული უშიშროების საბჭოში.

საქინფორმი.

კანონმდებლები

# კომიტეტების თავმჯდომარეები დაამტკიცეს

**17 მაისს მუშაობა განაგრძო პარლამენტის რიგგარეშე პლენარულმა სხდომამ.**

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ბეჟან გონაშვილი ფრაქცია „თანადგომა“, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტისა –დავით სალარიძე („მრეწველები“), განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის – ნოდარ ამაღლობელი („თანადგომა“), გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების – თენგიზ გაზდელიანი („მაჟორიტარები“), ეკონომიკური პოლიტიკის – ანზორ აბრალავა („21 საუკუნე“), დარგობრივი ეკონომიკის – დემურ გიორხელიძე („ახალი აფხაზეთი და ქრისტიან-დემოკრატები“), სამოქალაქო ინტეგრაციის – ბესო ლაგვილავა („აფხაზეთი“), თავდაცვისა და უშიშროების – ირაკლი ბათიაშვილი („ახალი მემარჯვენეები“), თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის – ნუგზარ ნავაძე („სოციალისტი“), იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების – გოჩა პაიჭაძე („აღორძინება“), მთიანი რეგიონებისა და განსახლების – ანზორ გოგიტიძე („ერთიანი საქართველო“), საგარეო ურთიერთობათა – ზვიად მუკბანიანი („ალიანსი ერთიანი საქართველოსათვის“), საპროცედურო საკითხთა და წესების – როსტომ დოლიძე („ახალი აფხაზეთი და ქრისტიან-დემოკრატები“), საფინანსო საბიუჯეტო – ზაზა სიორიძე (წარმოადგინეს დამოუკიდებელმა დეპუტატებმა), ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ – ზეზვა ლულუნიშვილი („თანადგომა“), ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურაზე პარლამენტი დამატებით კონსულტაციებს გამართავს.

* * *

**უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, პარლამენტის რეგლამენტში ორიოდე დღის წინათ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნები მოაწყო.** რეგლამენტით პარლამენტის თავმჯდომარეს 7 მოადგილე განესაზღვრა – თითო-თითო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების დეპუტაციიდან, თითო ვიცე-სპიკერის კანდიდატურის წარმოდგენის უფლება მიეცათ იმ პარტიებს და ბლოკებს, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში 7-პროცენტიანი ბარიერი გადალახეს, ერთიც – დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფს. ამასთანავე, იმ პარტიას, ვინც არჩევნების შემდეგ პარლამენტში 117-ზე მეტი წევრი შეიყვანა, უფლება მიეცა, დამატებით კიდევ ერთი ვიცე-სპიკერი დაენიშნა.

შეთანხმებისამებრ, პარლამენტმა თავის თანამდებობაზე დატოვა როსტომ ჯაფარიძე (აჭარის დეპუტაციიდან) და ვახტანგ ყოლბაია (აფხაზეთის დეპუტაციიდან). 7-პროცენტიან ბარიერგადალახულმა „აღორძინებამ“ ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე კვლავ დატოვა ვახტანგ რჩეულიშვილის კანდიდატურა, ხოლო „მოქკავშირის“ ერთმა ჯგუფმა – გიგი წერეთელი. მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ ვიცე-სპიკერმა ელდარ შენგელაიამ განცხადებით მიმართა პარლამენტს, რომ იგი პოსტიდან თავად არ აპირებს გადადგომას და მოითხოვა კენჭისყრა ამ საკითხთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგად ელდარ შენგელაიას გადადგომის მომხრე აღმოჩნდა 114, თუმცა საჭირო კვოტის – 116-ის გამო, ელდარ შენგელაიამ კვლავაც შეინარჩუნა ვიცე-სპიკერის თანამდებობა.

დამოუკიდებელ დეპუტატთა კვოტიდან პარლამენტის ვიცე-სპიკერი გახდა თბილისის ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ სამადაშვილი – ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე.

„მრეწველთა“ ფრაქცია თავიდანვე წინააღმდეგი იყო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობის გაზრდისა და ამ მიზნით პარლამენტის რეგლამენტში შესატან ცვლილებებსაც არ დაუჭირა მხარი. როგორც ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, სწორედ ამიტომ თქვა უარი ფრაქციამ, დაეყახელებინა საკუთარი კანდიდატურა.

საქინფორმი.

დოკუმენტი

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება № 56/2002

### 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რიგითობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების, 99-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტების, 120-ე მუხლის მე-9, მე-10, მე-11 პუნქტების შესაბამისად,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების (ბლოკების) რიგითობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი
2. საარჩევნო ბლოკი „აღორძინება – XXI “
3. საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია
5. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
6. საარჩევნო ბლოკი „სახალხო პარტია-ტრადიციონალისტთა კავშირი“
7. ბლოკი „ერთიანი კომუნისტური პარტია (სტალინური) და მშრომელთა საბჭოები“
8. საქართველოს ვეტერანთა დაცვის პარტია
9. საქართველოს მწვანეთა პარტია
10. მერაბ კოსტავას საზოგადოება
11. საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება-ეროვნული ფორუმი
12. ბლოკი „სახალხო ფრონტი-ჭავჭავაძის საზოგადოება“
13. ბლოკი „მძლეველი საქართველო-ღვთის ტაძარი“
14. ბლოკი „კომუნისტები-სტალინელები“
15. ბლოკი „აღორძინებული კომუნისტები და სახალხო-პატრიოტები“
16. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
17. საქართველოს ეკონომიურად და სოციალურად დაზარალებულთა პარტია
18. სახალხო-დემოკრატიული პარტია
19. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი
20. ბლოკი „XXI საუკუნე-ქართული ნაციონალიზმი“
21. ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
22. საქართველოს თავისუფლების პარტია
23. დავით აღმაშენებლის პარტია
24. საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია“
25. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ლექტორთა კავშირი“
26. საქართველოს ნაციონალისტური პარტია
27. ნაციონალისტები
28. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია
29. „დემოკრატიული ცენტრი“
30. პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს ბედი“
31. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“
32. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა
33. მოქალაქეთა პ/გ სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
34. საარჩევნო ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტი“– სააკაშვილი, დავითაშვილი, შავიშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილი“
35. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია (კ.უ.დ.პ.)
36. „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ზურაბ ქვანიას გუნდი“
37. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (სსდპ)
38. ახალი მემარჯვენეები (ახლები)
39. სოციალისტური პარტია
40. ბლოკი „ერთობა“ – ჯ. პატიაშვილი, ალ. ჭაჭია“

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული პარტიების (ბლოკების) მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატებს მიეკუთვნოს ამ პარტიის (ბლოკის) ნომერი.

3. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების რიგითობა განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით იმის გათვალისწინებით, რომ რიგითობა დაიწყება რიცხვიდან „41“.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე,**
კომისიის მდივანი
**მამუკა კოპალეიშვილი.**
2002 წლის 16 მაისი.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება № 59/2002

### 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისათვის სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ რიგითობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 120-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისათვის სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციას „ლემის“ მიენიჭოს რიგითი ნომერი 41.

2. № 46 ლენტეხისა და № 47 მესტიის საარჩევნო ოლქებში 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების რიგითობის განსაზღვრა დაიწყოს 42-ე ნომრიდან.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე,**
კომისიის მდივანი
**მამუკა კოპალეიშვილი.**
2002 წლის 17 მაისი.

### ექსპორტის მთავარი შემადგენელი

იმპორტული საქონლის ღირებულებამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 172,5 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ექსპორტის მოცულობამ კი 66 მილიონ 146 ათასი შეადგინა. გამომდინარე აქედან წლის პირველ მეოთხედში ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა 106 მილიონ 363 ათასი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ, ისევე, როგორც წინა წლებში, ექსპორტის უდიდესი წილი კვლავაც სხვადასხვა სახეობის ჯართზე მოდის. ამავე დროს, სპეციალისტების აზრით, ეს ტენდენცია 2005 წლამდე გაგრძელდება.

### რატომ უქმდება ჩათვლები?

. მაისის განვლილ პერიოდში საგადასახადო დეპარტამენტმა საოლქო საგადასახადო ინსპექციებს მისცა მითითება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში კანონდარღვევით განხორციელებული 10 მილიონ 257551 ლარის დღგის ჩათვლების გაუქმების შესახებ.

სულ 2002 წლის დამდეგიდან ჩათვლები გაუქმებულია 57 მილიონ 564881 ლარზე. აღსანიშნავია, რომ ჩათვლები გაუქმდა იმ გადამხდელთა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე, რომლებსაც დასაბეგრ ოპერაციებზე კონტროლის განხორციელების მიზნით საგადასახადო ინსპექციებში დღემდე არ წარუდგენიათ შესაბამისი თვის დეკლარაციები საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებთან ერთად და/ან არ უწარმოებიათ ანგარიშსწორება სახელმწიფო ბიუჯეტთან, ან ჩატარებული აქვთ ფიქციური ოპერაციები.

### აფეთქება ითხვისის მაღაროში

იმერეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამხარეო შტაბის ინფორმაციით, 17 მაისს, დილის 7 საათსა და 20 წუთზე, ჭიათურაში, აფეთქება მოხდა ითხვისის მაღაროში, დაშავდა 4, დაიღუპა ერთი კაცი.

სამაშველო სამუშაოებს აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი სამთომაშველი რაზმი.

### პაციენტებს უფასოდ მოემსახურება

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს ისანისამგორის გამგეობაში, ვარკეთილ-ვაზისუბნის დასახლებაში გაიხსნა პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი-კლინიკა, რომელიც ამ რაიონში მცხოვრებთ უფასოდ მოემსახურება. კლინიკაში სხვადასხვა პროფილის ექიმები კონსულტაციას და დახმარებას უწევენ პაციენტებს, ასევე 12 კატეგორიის მოქალაქეებზე მედიკამენტებს გასცემენ. ამ კატეგორიაში შედიან 5 წლამდე ასაკის ბავშვები, ფეხმძიმე ქალები, მარჩენალის გარეშე დარჩენილი მოხუცი პენსიონრები, მარტოხელა დედები და მათი შვილები, უდედმამო ბავშვები, შრომისუნარიანი წევრების გარეშე დარჩენილი და მრავალშვილიანი ოჯახები, I და II ჯგუფის ინვალიდები, ომში დაზარალებული და ზემოთ აღნიშნული კატეგორიის დევნილები.

მათ შეუძლიათ წელიწადში ოთხჯერ (სამ თვეში ერთხელ) მიაკითხონ პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა.

ცრუინტელექტუალური ფაშიზმი

# „სად დაიკარგა სულიერება, რად გაიცრიცა მკერდზე პირჯვარი?“

(პირველი გვერდიდან)

ასე გავიდა ათასწლეულები. გადავრჩით.

ეს მაიმედებდა და მაიმედებს. მაგრამ ამავდროულად მაფიქრებს კიდეც.

ჩვენი დღევანდელობა, სახელმწიფოს შენების გზაზე გადადგმული წარმატებული ნაბიჯების შემდეგ ზოგიერთი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსის წინდაუხედაობა და რადიკალიზმი მაშფოთებს, რადგან ძნელია ჩასწვდე მათი მიზნის არსს.

მიზანი ამართლებს საშუალებას?! ვითომ შეიძლება ამით თავის მოწონება? თუკი ბინძური მიზანი გაგიხდია ამძრავად, მაშინ შეიძლება. იმ ბინძურ ხერხებს ვგულისხმობ, არსაიდან მოსული ლიდერები რომ ცდილობენ ერთა შორის შუღლისა და დაპირისპირების ჩამოგდებას. ეს რამ ათქმევინა, – „ოცდაათი საცოდავი აზერბაიჯანელიო“.

არ მინდა ამ თემის განვრცობა, ეს სიბინძურე მისმა ლექვებმა ალოკონ.

იცით, რატომ დამჭირდა ამხელა შესავალი? იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ შემეხსენებინა: მხარი მოსტეხა საქართველოს პროვინციულმა ფაშიზმმა – აფხაზეთი დაგვაკარგვინა (დროებით!), ახლა თავს გვჭრის ცრუინტელექტუალური ფაშიზმი.

თავსა გვჭრის და გვემუქრება...

მომიტევონ ჭეშმარიტმა ინტელექტუალებმა, არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ სწორედ მათი პასიურობა აძლევს ასპარეზს ამ ჩაგრანტულებსა თუ გამოგრანტებულებს.

ამიტომაც მიაჭენებენ და მიაჭენებენ.

„ნაციონალური მოძრაობა“...

ავსტრიელი ნაციონალისტი იორგ ჰაიდერი გადადგა, – ქვეყნის იზოლაციისაგან თავდასახსნელად დიდ პოლიტიკას გაეცალა.

საფრანგეთმა მხარი დაუჭირა (82 პროცენტით!) ჟაკ შირაკს, რადგან ფრანგებს არ სურდათ ლე პენის ფაშიზმი!

საქართველოშიც არ სურთ სააკაშვილის ნაციონალიზმი, რომელიც მიხაკისფერია შიგნიდანაც და გარედანაც.

ახალი ლოზუნგი გამოგვაქვსო, – საქართველო შევარდნაძის გარეშე, თბილისი შევარდნაძის გარეშეო.

კარგად უპასუხა ამ ბოდვით იდეაზე კობა დავითაშვილს გელა კვარაცხელიამ: თქვენ საქართველო არ გინდათო.

კიდეც ამტკიცებენ თავიანთი სტრატეგიის განვითარებით: იმერეთი ქუთაისის გარეშე, ქვემო ქართლი რუსთავის გარეშე... და ასე შემდეგ. რა რჩება?

რჩებიან ნაციონალისტები საქართველოს გარეშე. არა, მაინც, რა ბედი გვაქვს, კაცო, – ეს შევარდნაძის პერიოდული სისტემის ელემენტები რა გაუგონარ სისულელეებს ლაპარაკობენ ერთმანეთთან რეაქციაში შესვლის დროს, რა დაშნაკცაკანებივით იქცევიან, რას დადიან იმის იქითა საუკუნის ტერტერებივით და რას გვერეკებიან თავიანთ „საყდარში“. არადა, ის ტერტერები 5-5 მანეთს მაინც აძლევდნენ ცთუნებულ გლეხებს, ეს „მილენიუმის ტერტერები“ აქეთ სთხოვენ, ფული მოგვეცით ჩვენი საარჩევნო კამპანიისთვისო.

იმის ნაცვლად, რომ დაზარალებულ თბილისელებს მხარში ამოსდგომოდნენ, ჯერ სხვისი შეგროვებული ფულის განაწილებაზე კონტროლი „იკისრეს“, მერე ესეც მიავიწყდათ და ახლა ათეულათასობით დოლარის ღირებულების სარეკლამო რგოლებს ატრიალებენ „გაჭირვებულები“.

მოდი და, ნუ გაგიკვირდება, ნუ გაიმეორებ თბილისში (და არა მხოლოდ აქ!) გაგონილს:

გიჟია, მამაძაღლი?!

**ბონდო მძინარაშვილი.**

P. S. სიმართლე ვთქვა, არც ამ მეროჭიკე ნაციონალისტების ფხარკალს მოუგვრია ჩემთვის პესიმიზმი. დარწმუნებული ვარ, ამ სახადსაც მოვიხდით და სახელმწიფოს ერთგულებას გადაჩვეული ქართველობისთვის კვლავაც განსაცვიფრებლად მთავარი იქნება „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“.

სტიქიის შედეგების დასაძლევად

# ქართული კულტურის 300 ძეგლი არ დანგრეულა, რაც დაზიანდა, მალე აღდგება!

(პირველი გვერდიდან)

მართლაც ასეთი რამ არავის უთქვამს. თბილისის ძველ უბნებში, ნამდვილად არ არის 300 სახლი, რომლებიც კულტურის ძეგლად იყოს საxელდებული და, თანაც, დანგრეული... ბევრი ნამდვილად დაზიანდა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ რამდენიმე იყო არქიტექტურულად ღირებული.

ზოგიერთმა ეს ინფორმაცია ისე აღიქვა, თითქოს, თბილისსა და მის შემოგარენში ეკლესია-ტაძრები და მონასტრები პირწმინდად დანგრეულიყოს. არც ეს გახლავთ მართალი. მეტი დამაჯერებლობისთვის გავესაუბროთ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახა ტრაპაიძეს.

– რამდენადაც ვიცით, ბატონო კახა, კულტურისა და ისტორიის ძეგლები ორ ნაწილად იყოფა: უშუალოდ თვით მატერიალური კულტურის ტაძრები (სიონი, ქაშუეთი, ნარიყალა, მამადავითი, წმიდა სამება, მეტეხი და ა. შ.) და გარკვეული არქიტექტურული ღირებულების მქონე დაწესებულებები და საცხოვრებელი სახლები.

– მართალს ბრძანებთ. თბილისი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, საკუთარ მკერდზე იტევს ათი-თორმეტი საუკუნის წინანდელ ტაძრებსაც და მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ულამაზეს შენობა-ნაგებობებსაც. განა, თავისებური ძეგლები და კულტურის ნიმუშები არ არის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ან საჯარო ბიბლიოთეკა, პარლამენტის შენობა და სახელმწიფო მუზეუმები, თვით მერიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, თეატრალური ინსტიტუტის ნაგებობანი? ამის გარდა, არაერთი საცხოვრებელი სახლი მთაწმინდა-კრწანისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონებში, მართლაც არის არქიტექტურული კულტურის ნიმუში. როგორც არქიტექტურის ძეგლები, ისინი აღრიცხვაზე აგვიყვანეთ და დიდი უმრავლესობის ფოტოფიქსირებაც მოვახერხეთ.

– ძველ თბილისში დაბზარულ-ჩამონგრეული სახლების ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ამის შესახებ ჩვენი მკითხველი ინფორმირებულია. თქვენ, იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, ეკლესია-ტაძრები რა მდგომარეობაშია...

– დედაქალაქის და მისი შემოგარენის 22 ეკლესიიდან დაუზიანებლად მხოლოდ სამი გადარჩა – კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესია (აზიზბეკოვის ქუჩაზე), წავკისის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია და წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია გარდაბანში. დანარჩენებმა სხვადასხვა ხარისხის (კატეგორიის) დაზიანება მიიღეს.

– მსუბუქად, ანუ უმნიშვნელოდ დაზიანდნენ ქაშუეთი, იოანე ღვთისმეტყველის (ლეო ქიაჩელის ქუჩაზე), ივერიის ღვთისმშობლის (ხუდადოვზე) და სამხედრო აკადემიის მთავარანგელოზის ეკლესიები.

**– მეორე კატეგორიის დაზიანება რომელმა მიიღო?**

– დიღმის ღვთისმშობლის სახელობის, წმინდა სამების (მანჯგალაძის ქ.), ალექსანდრე ნეველის სახელობის (მარჯანიშვილის ქ.), წმინდა ნინოს სახელობის (ჩხეიძის ქ.), წმინდა ბარბარეს სახელობის (ჩოლოყაშვილის ქ.), მეტეხის, მაცხოვრის ფერისცვალების (ურბნისის ქ.), წმინდა ნიკოლოზის (ხეთაგუროვის ქ.), წმინდა ნინოს (ნორიოს აღმართი), პეტრესა და პავლეს (ი. ჯავახიშვილის ქ.), მამადავითის, წმინდა გიორგის (ერეკლეს მოედანი), ღვთისმშობლის (წავკისი) და წმინდა გიორგის (შავნაბადა) ეკლესიებმა.

– ეს ტაძრები, დაზიანების მიუხედავად, ყველა ფუნქციონირებს, ეტყობა, საშიშიც არაფერია. რა თანხა სჭირდება მათ რესტავრაციას?

– საშიში, მართლაც არაფერია. მაგალითად, მამადავითზე, ბზარები მანამდეც იყო, ახლა ცოტა კიდევ მიემატა და ჩადგა მეორე კატეგორიის დაზიანებულთა რიგებში... თითოეული ტაძრის ბოლომდე აღდგენა-განახლებას, მინიმუმ, 80-90 ათასი ლარი სჭირდება.

**– მთლიანად, ყველა ტაძრის სარეაბილიტაციოდ, თქვენი გაანგარიშებით, რა თანხაა საჭირო?**

– თუ მესამე კატეგორიის ანუ, ფაქტიურად, დანგრეული ტაძრების სრულ რეაბილიტაციას გავითვალისწინებთ, საჭიროა 30 მილიონი ლარი. ეს პროცესი ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, დაუფინანსებლობის გამო, თითო-ოროლა ძეგლს თუ შევაშველეთ ხელი.

**– ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს ბიუჯეტიდან წლეულს რა თანხა აქვს გამოყოფილი?**

– სულ, 230.000 ლარი. ამით უკვე დავიწყეთ ალავერდის (ახმეტის რაიონში), მცირე ჯვრის (მცხეთაში), და ყანჩაეთის (ახალგორის) ტაძრების რესტავრაცია. შეგახსენებთ, რომ ყანჩაეთის უნიკალური ეკლესია სულ დაინგრა და მისი აღდგენა ფრიად საშური საქმეა.

**– თქვენ არ დაგისახელებიათ მესამე კატეგორიის დაზიანების მქონე ტაძრები.**

– მესამე კატეგორიას ანუ მწვავე ავარიულს განეკუთვნებიან მხოლოდ მინდისის ღვთისმშობლის ეკლესია და მოლნისის ტაძარი ძველ თბილისში, ახოსპირელის ქუჩაზე.

**– უნდა ვივარაუდოთ, რომ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო საქალაქო ფონდი, შესაძლებლობის მიხედვით, ხელს გაგიმართავთ და რამდენიმე ტაძრის გამაგრებით სამუშაოებს მაინც დაიწყებთ.**

– ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ თანადგომა აუცილებლად იქნება.

**სპარტაკ ძოგულია.**

ცესკოში

# ვერ შეთანხმდნენ



**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თვითმმართველობის არჩევნების გადადებაზე ალაპარაკდნენ, თუმცა, არჩევნები გადაიდება თუ არა, ეს ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის.**

მოგეხსენებათ, არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ უნდა ამოქმედდეს საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, რომელიც პარლამენტმა შემოდგომაზე მიიღო. ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს კანონი, მართალია, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ არც ბოლომდე სრულყოფილად ჩაითვლება და არც ბოლომდე დემოკრატიულად, ამის მიზეზად კი იმას მიიჩნევენ, რომ თბილისში მერი ჯერ კიდევ ინიშნება და არჩევნებშიც დედაქალაქის დეპუტატებს მაჟორიტარულის ნაცვლად პროპორციული, ანუ პარტიული სიებით ირჩევენ. ასეა თუ ისე, არავინ არ უარყოფს იმას, რომ წინა არჩევნებზე თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე ნაკლებად გაყალბდა, რაც ბუნებრივია, ამჯერადაც იმედის საფუძველს იძლევა.

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე თბილისის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დამტკიცდა, რის შესახებაც განკარგულების სახით ცენტრალური საარჩევნო კომისიის აქტი მიიღეს. შემდეგ ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიაში სამი წევრი დაინიშნა, რადგან მანამდე ცესკომ თავისივე დანიშნულ ორ წევრს უფლებამოსილება შეუწყვიტა, ერთმა წევრმა განთავისუფლებაზე განცხადება თვითონ დაწერა.

სიღნაღში კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. საქმე ის არის, რომ იქ საოლქო საარჩევნო კომისიამ ყველა წარდგენილი კანდიდატი რეგისტრაციაში გაატარა. ვითომ, რა არის ამაში უჩვეულო, რატომ არ შეიძლება თითოეული კანდიდატი ყველა წესს და მოთხოვნას აკმაყოფილებდეს? მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, ასეთი რამ თითქმის შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით, ცესკოში საჩივარი შემოვიდა, სადაც აღნიშნულია, რომ კანდიდატთა ნაწილი კანონის დარღვევით არის რეგისტრირებული. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ საკითხის განსახილველად გუშინ მზად იყო, მაგრამ სხდომა მოულოდნელად გადაიდო.

სხდომის გადადება ცესკოს წევრის ილია გეგენავას წინადადებამ გამოიწვია. მან თქვა, რომ საჭიროა სპეციალური ჯგუფები შეიქმნას, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიების გარკვეულ ფუნქციებს განახორციელებენ. ამ აზრს კომისიის წევრთა ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა. იყვნენ მოწინააღმდეგეებიც. სჯობსო, უფლებათა გარკვეული ნაწილი არსებულ საოლქო საარჩევნო კომისიას გადავეცეთო. აღნიშნულ საკითხზე ცხარე კამათი გაიმართა. მხარეები ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**მზია გელენავა.**

„უჩინმაჩინები“ დიდ კორუფციაში

# ასეთი ფული ვის შეერგება

(პირველი გვერდიდან)

13 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასევე ამხილეს აფხაზეთიდან დევნილი, დროებით წყალტუბოში, სანატორიუმ „შედეგში“ მცხოვრები მზია უგრეხელიძე, რომელმაც ყალბი დოკუმენტების წარდგენით დევნილებად გააფორმა 10 არარსებული პირი და 1997-2001 წლებში მათი სახელით მიითვისა 5.000 ლარი.

ცხადია, როგორც ლიანა ხუბულავას, ისე მზია უგრეხელიძეს ამ საქმეში სახელმწიფო ჩინოვნიკებიც ეხმარებოდნენ.

უფრო მასშტაბური დანაშაულის „ხენი ტრიალებს“ ბორჯომში. ამ დღეებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და აფხაზეთის კონტროლის პალატის სპეციალისტებმა ერთობლივად შეამოწმეს სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბორჯომის განყოფილება. აქ აღრიცხვაზე მყოფი აფხაზეთიდან დევნილი 761 პენსიონერიდან 1999 წელს 231 პენსიონერს რეგისტრაციაში გაუტარებლობის გამო პენსიების გაცემა შეუწყდა.

შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ ამ 231 პენსიონერიდან 135 პენსიონერს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, დევნილის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა. ასევე ისინი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გამგეობებში არ ყოფილან რეგისტრირებულნი აფხაზეთიდან დევნილებად. მიუხედავად ამისა (სპეციალისტების მიერ ჩატარებული წინასწარი შემოწმებით), დევნილის სტატუსის არმქონე 135 პირზე პენსიის სახით შპს „საქართველოს ფოსტის“ ბორჯომის განყოფილების მიერ გაცემულია 20.058 ლარი.

თუ კონკრეტულად ვინ მიითვისა ეს თანხა, დადგინდება შესაბამისი სამსახურებიდან საბუთების ამოღებისა და დოკუმენტური რევიზიის ჩატარების შედეგად.

შემოწმების მასალები კი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 118-119. შაბათი, 18 მაისი, 2002 წელი.



## აქცენტი

# მიხეილ ნანეიშვილი: „ვინც საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებასა და სისხლისღვრას წინასწარმეტყველებს, შესაძლოა, თავადვე გეგმავდეს ამას!“

(პირველი გვერდიდან)

**ამას წინ უძღოდა იმავე „მოქალაქეების“ წიაღიდან ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის – „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოყალიბება, და ამის კვალდაკვალ, საპარლამენტო უმრავლესობის დაშლაც. რამაც, სხვათა შორის, ქართულ პოლიტიკურ რუკაზე სერიოზული ცვლილებები გამოიწვია. უფრო მეტიც, პოლიტიკურ ძალებს შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ დარბაზებიდან უკვე ქუჩაში გადაინაცვლა და, ზოგ შემთხვევაში, სახიფათო ფორმებიც კი მიიღო. თანაც საყურადღებოა, რომ ბანაკის ორივე მხარეს, ისევ და ისევ, იმ „ბედკრული“ მოქკავშირის ყოფილი თუ ამჟამინდელი წევრები აღმოჩნდნენ. არადა, ამ ვითარებას უკვე ადარებენ 1990-91 წლების გამსახურდიას ხელისუფლებას, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისივე ყოფილი მომხრეები დაუპირისპირდნენ და ეს ბრძოლა საბოლოო ჯამში სისხლისღვრით დასრულდა. ახლაც ზოგიერთები იგივეს წინასწარმეტყველებენ, თუმცა იმედია ეს ასე აღარ განმეორდება.**

**იმაზე, თუ რამდენად სახიფათოა დღეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და საერთოდ, რამ გამოიწვია იგი (თუნდაც მოქკავშირში) თავისი პოზიცია აქვს საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარეს, პარლამენტის წევრს და, ასევე, ყოფილი უმრავლესობის წარმომადგენელს მიხეილ ნანეიშვილს.**



– ჩემი აზრით, მოქალაქეთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა შემდეგი: ახალგაზრდების გარკვეულმა ჯგუფმა (რომელთაც მე ადრე მხარს ვუჭერდი) ჩათვალა, რომ პრეზიდენტი მათ ლიდერს, ანუ ზურაბ ქვანიას, თავის მემკვიდრედ აღარ განიხილავდა, რამაც ამ ადამიანთა გაღიზიანება გამოიწვია. ჩემი დაკვირვებით, ამ ჯგუფმა პრეზიდენტის „ფრთის“ ქვეშ ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივა ვერ დაინახა. პრეზიდენტთან მათმა დაპირისპირებამ თავი მაშინ იჩინა, როცა მინისტრთა კაბინეტის შემოღების იდეა გაჩნდა. როგორც იცით, ეს იდეა სწორედ ამ ახალგაზრდების ჯგუფისგან მოდიოდა, რადგან ისინი პრემიერ-მინისტრის პოსტზე ზურაბ ქვანიას განიხილავდნენ, რაც მისი შემდგომი წინსვლისათვის ტრამპლინი უნდა გამხდარიყო. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს საკითხი პარლამენტში „ჩავარდა“. თუმცა ადამიანებმა, რომლებიც პოლიტიკოსობაზე პრეტენზიას აცხადებენ, ელემენტარულად ვერ გამოთვალეს ამ საკითხში საკანონმდებლო ორგანოში რამდენი მხარდამჭერი ეყოლებოდათ. როგორც ჩანს, მათ სიხარბემ გონება დაუბნელა, შემდეგ კი, ამ საკითხის ჩავარდნა პრეზიდენტს დააბრალეს: ვითომ მან ეს ყველაფერი სპეციალურად მოაწყო. შემდეგ, როგორც ცნობილია, ამ ახალგაზრდების ჯგუფის მხრიდან უკმაყოფილების ტალღის აგორება მოჰყვა, შემდეგ – ქვანიას მიერ პრეზიდენტისათვის ღია წერილის გაგზავნა, სულ ბოლოს კი, მოქალაქეთა კავშირი ოპოზიციურ პარტიად გამოაცხადეს.

ჩანს ამ ოპოზიციონერებს დაავიწყდათ, რომ მოქალაქეთა კავშირი შევარდნაძემ შექმნა და იგი მისი პარტია იყო. ამ ახალგაზრდებმაც პოლიტიკურ „სიმაღლეებს“ მიაღწიეს იმდენად, რამდენადაც პრეზიდენტის პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. ამით გაიკეთეს მათ კარიერა. ასეთი საქციელი ამ ადამიანების არც გონებრივ და არც ზნეობრივ სიმწიფეზე არ მიგვითითებს.

**– იმას რით ახსნით, რომ თუ, მაგალითად, ქვანია კვლავ მოქალაქეთა კავშირის მემკვიდრეობაზე აცხადებს პრეტენზიას, მიხეილ სააკაშვილის ჯგუფმა ცალკე პოლიტიკური ორგანიზაცია ჩამოაყალიბა? თქვენი აზრით, რატომ გაიყო მათი გზები?**

– თუ არ ვცდები, „ნაციონალური მოძრაობის“ იდეა ჯერ კიდევ შარშან გაჩნდა. იგი უნდა შექმნილიყო როგორც „მოქკავშირის“ პარალელური ორგანიზაცია, რომელიც მმართველ პარტიაში შემავალ ამ ახალგაზრდული ფრთის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. შემდეგ, არ ვიცი, რა მოხდა და მაინცდამაინც სააკაშვილი რატომ გახდა ამ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი. ისეთივე, თუ მეტი არა, წარმატებით წინამძღოლის ფუნქცია შეიძლება ქვანიასაც შეესრულებინა.

ჩემი აზრით, ამ ორი ფიგურის გზების გაყოფის (თუ ასეთი რამ მართლაც არსებობს) მიზეზი ამბიციების შეუთავსებლობაც იყოს. რადგან ქვანია დიდი ხნის განმავლობაში შევარდნაძის მემკვიდრედ განიხილებოდა, ახლანდელ „ნაციონალურ მოძრაობაში“ კი მას „პირველ კაცობას“ არავინ არ დაუთმობს, ხოლო მეორე ნომრად ამ მოძრაობაში ყოფნა ქვანიას პრესტიჟზე სერიოზული დარტყმა იქნება.

**– ანუ, როგორც გავიგე, ქვანიას დარჩენა მოქალაქეთა კავშირში და ამ პარტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის გაცხადება, მას თავისი „პირველკაცობის“ შენარჩუნებისთვის ჰქონდა გამიზნული?**

– ასე უნდა ვიფიქროთ, და იმავდროულად, მოქკავშირში დარჩენით, იგი მის სტრუქტურებსაც შეინარჩუნებდა.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ჩემი აზრით, ქვანიას იქ შესვლის შემთხვევაში, სააკაშვილის ჯგუფი შეეცდებოდა, იგი „მეორე ნომრადაც“ კი არ შეეყვანათ. ამდენი ჭკუა კი ქვანიას აქვს, რომ ამას მიხვდეს. ამიტომაც, ჯერჯერობით, მოქკავშირისთვის იბრძვის.

**– ესე იგი, თქვენ გსურთ თქვათ, რომ სააკაშვილმა ქვანიას უბრალოდ დაასწრო „ნაციონალური მოძრაობის“ შექმნა, ანუ ისინი ამას თავის დროზე ერთობლივად აპირებდნენ, შემდეგ კი ის მივიდეთ, რაც ახლა გვაქვს?**

– დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი. ახლა კი მათ შორის, გარკვეული ორსახოვანი ურთიერთობებია. ზოგიერთს მიაჩნია, რომ მათ შორის პატარა დაპირისპირებაა, თუმცა ამ ორ დაჯგუფებას შორის გარკვეული შინაგანი ერთსულოვნება მაინც არსებობს. კულუარულ საუბრებში, ისინი ერთი მეორის მიმართ ზღვარს აცლებენ, მაგრამ ოფიციალურად პრინციპულ გამიჯვნას ერთმანეთისაგან არ ახდენენ... პრესიდანაც კარგად ჩანს, რომ ისინი ერთ გუნდს არა. მაგრამ, ორი გუნდის გარკვეულ კოალიციას მაინც ქმნიან.

როგორც ჩანს, მოქკავშირის ძირითადი მასა მაინც პრეზიდენტს უჭერს მხარს და ქვანიამ დაინახა, რომ დიდი პერსპექტივა იმ პარტიაში აღარ აქვს. სწორედ ამას უკავშირდება გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, თითქოს ქვანია საკუთარი პარტიის შექმნას აპირებს.

**– მოქკავშირის სახელისათვის მიმდინარე საკმაოდ მწვავე ბრძოლა, თქვენი აზრით, შესაძლოა, სულ მალე ასე მარტივად დასრულდეს?**

– ეს ბრძოლა ასეთი მწვავე იმიტომაც არის, რომ ახლა ადგილობრივი არჩევნებია კარს მომდგარი, თორემ საბოლოო ანგარიშით, ეს პარტია, რა თქმა უნდა, მაინც შევარდნაძეს დარჩება. თანაც დღეს ისეთი ვითარებაა, რომ პრეზიდენტს აუცილებლად სჭირდება დასაყრდენი ძალა. დღეს, ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების საკითხი რეალური გახდა (გაიხსენეთ თუნდაც ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების ჩამოსვლა საქართველოში). ცხადია, ამ საქმეში პრეზიდენტს ყოველმხრივი დახმარება სჭირდება და ჩვენც, ლიბერალები, მზად ვართ, მის პარტიასთან ამ მიმართულებით ვითანამშრომლოთ.

**– თქვენ არჩევნები ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, 2 ივნისს მთავარი მეტოქეობა რომელ პოლიტიკურ ძალებს შორის შეიძლება გაჩაღდეს? შეიძლება ვთქვათ, სააკაშვილის მოძრაობა, ქვანიას გუნდი, ან იქნებ ლევან მამალაძის დროშით მოქმედი მოქკავშირელები დაწინაურდნენ?**

– მართალი გითხრათ, ძალიან ძნელია ამის წინასწარ განჭვრეტა. ქვეყანაში არსებული გარკვეული უკმაყოფილების ფონის გათვალისწინებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხალხში გარკვეული გავლენა აქვს. ამ მოძრაობის ლიდერები არ თაკილობენ დემაგოგიას, ეწევიან მოსახლეობის უკმაყოფილებით სპეკულირებას, რაც მათ ამ ნეგატიურ ტალღაზე ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს. გარდა ამისა, არის სხვა პარტიებიც, მაგალითად, ამომრჩევლებში საკმაო პოპულარობით, როგორც მე ვიცი, „მრეწველებიც“ სარგებლობენ. თუმც აქვე მინდა გითხრათ, რომ საერთოდ სოციოლოგიურ გამოკითხვებს მაინცდამაინც არ ვენდობი.

მე პარტიების შეფასების საკუთარი კრიტერიუმი მაქვს. ვინც ხელს უწყობს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას, იმას ვეპირისპირები, ხოლო ის, ვინც სტაბილურობას ხელს უწყობს, შეიძლება, როგორც ძალა გულზე არ მეხატებოდეს, მაგრამ მხარს მაინც დავუჭერ.

**– სხვათა შორის, დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით მსურს გკითხოთ, ის სახიფათო მოვლენები, რაც ამ რამდენიმე დღის წინათ, ცესკოს შენობის წინ განვითარდა, დესტაბილიზაციის სერიოზული წინაპირობა არ არის?**

– რამდენადაც ვიცი, ამ საკითხის პარლამენტში განხილვას აპირებენ. საუბარია, მამალაძის მიერ ცესკოსთან ხალხის ჩამოყვანაზე... მაგრამ თვითონ ესენი როგორ იქცევიან? აი, მაგალითად, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები რომ დგანან ცესკოსთან, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ეს ადამიანები მათ საქმეს აკეთებენ. მით უმეტეს, რომ ქვანია ადგილობრივ არჩევნებში „პროზვიადისტული“ პარტიის სიით გამოდის, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია.

**– ანუ, თქვენი აზრით, ცესკოს შენობის წინ მომიტინგე ზვიადისტებს, მათ შორის მანანა არჩვაძეს, ზურაბ ქვანია მართავს?**

– არა, ამას არ ვამტკიცებ. უბრალოდ ვამბობ, რომ ამ მომიტინგეების შემხედვარეს ბუნებრივად ასეთი ასოციაცია მიჩნდება. ასე რომ, ამ მხრივ ეჭვების საფუძველი არსებობს, ისევე, როგორც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს „ნაციონალური მოძრაობის“ ლოზუნგი „თბილისი შევარდნაძის გარეშე“.

შევარდნაძეს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა კონსტიტუციით 2005 წლამდე აქვს. ჩემი, აზრით ამ ლოზუნგის მიხედვით თბილისში პრეზიდენტის იურისდიქცია აღარ გავრცელდება. აქამდე ვიცნობდი პროვინციულ სეპარატიზმს, ახლა გაჩნდა ახალი ქართული ფენომენი – სეპარატიზმის გზას დედაქალაქიც ადგება. ეს ხომ ტრაგიკომიკური ვითარებაა.

ამ ლოზუნგით პრეზიდენტს დედაქალაქს ართმევენ, რაც სხვა არაფერია, თუ არა, სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდება. სხვაგვარად, ეს როგორ უნდა შევაფასო? მართალია, ამ მოძრაობის წარმომადგენლები ამ ლოზუნგს ასე განმარტავენ – ჩვენ შევარდნაძის კლანს ვგულისხმობთო, მაგრამ ვის უნახავს ლოზუნგი, რომელსაც თან განმარტებითი ბარათი ახლავს? ასეთი რამ არ არსებობს, ლოზუნგი-ლოზუნგია! ეს არის პროვოკაცია, და ვიმეორებ, გადატრიალებისკენ მოწოდება, მოსახლეობის ხელისუფლებასთან დაპირისპირების მცდელობა. ესენი, როდესაც თავს პროდასავლურებად აცხადებენ, რატომ ყურს არ უგდებენ მათი საყვარელი ამერიკელები თუ ევროპელები რას გვირჩევენ? განა არ ურჩევდა შარშანდელი სტუდენტური გამოსვლების დღეებში იგივე ამერიკის მთავრობა ჩვენს საზოგადოებას, არ აჰყოლოდნენ დემაგოგებს? ხოლო ვინ იგულისხმებოდა ამ დემაგოგთა სახელქვეშ? რა თქმა უნდა, სწორედ ისინი, ვინც დღეს ასეთ ლოზუნგს, ზემოთ რომ ვახსენე, ისვრის ხალხში!

თვითონ კი გვპირდებიან, რომ რეფორმებს ჩაატარებენ, მაგრამ დამერწმუნეთ, ისინი ვერანაირ რეფორმებს ვერ განახორციელებენ, საქართველოში ისეთი ანარქია იქნება, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება გაგვიჭირდეს.

**– დაბოლოს, ბატონო მიხეილ, ამ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე (ვგულისხმობ შიდა დაპირისპირებას მოქალაქეთა კავშირის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის), სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის გაფრთხილება შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირებისა, და უფრო მეტიც, სისხლისღვრის გამოწვევის შესახებ. თქვენი აზრით, დღეს ქვეყანაში არის კი მართლაც ამ „ფაზაში“ შესული ეს პოლიტიკური ბრძოლა? რამდენად რეალურია ახალი სამოქალაქო ომის დაწყება?**

– იცით, გამორიცხული არაფერი არ არის. საერთოდ კი, როგორც წესი, ვინც პირველი იწყებს სისხლისღვრაზე საუბარს, შესაძლოა, ის ამას უბრალოდ კი არ წინასწარმეტყველებდეს, არამედ ამას თვითონვე გეგმავდეს.

ესაუბრა
**ბექა ჟღენტი.**

## თანამდევი მემკვიდრეობა

# საქართველოს ოცი საუკუნო ბალავარი

ბუშინდელ დღესავით მახსოვს ის დიდი სიხარული, რაც თითოეულ ქართველში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის აკადემიური გამოცემის გადაწყვეტილებამ გამოიწვია, შედგა მთავარი სარედაქციო კოლეგია (გიორგი ციციშვილის თავკაცობით), გამოიცა ხუთი ტომი, მაგრამ მომდევნო არეულმა დრომ ეს დიდი საქვეყნო საქმეც წაპფორხილა.

თუმცაღა, როგორც ჩანს, ღმერთმა მაინც არ გაგვწირა. ბევრ სასიკეთო საქმესთან ერთად ილია ჭავჭავაძის ხსენებული ოცტომეულის გამოცემასაც ისევ აეწყო პირი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის (დირექტორი გურამ ბენაშვილი) მიმდინარეობით უკვე ხელთა გვაქვს „საქართველოს მეექვსე ბალავარი“ – ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეექვსე ტომი (1863-1882 წლების პუბლიცისტური წერილები), რომელიც საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებას“ ჯერ კიდევ 1997 წელს უნდა დაესტამბა, რაც დროის უკუღმართობის გამო შეუძლებელი გამოდგა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეექვსე ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ეთერ შარაშენიძემ და ლეილა სანაძემ, ტომის რედაქტორია აწ განსვენებული, ჩინებული მწერალი და ჟურნალისტი ალექსანდრე კალანდაძე, მხატვარია გიორგი ლომიძე, გამომცემლობის რედაქტორები არიან ელ. ბათიაშვილი და გ. ზოზიავა, მხატვრული რედაქტორია თ. ხაყელი, ტექნიკური რედაქტორია ნ. ბოკერია, კორექტორია ელ. ჩხარტიშვილი, ტექსტი აუწყვია ა. ბუაჩიძეს, დაუკაბადონებია ნ. ბოკერიას, დაბეჭდვით კი ვ. ზვრიტიშვილს დაუბეჭდავს, და რა სამწუხაროა, რომ ამდენი ხალხის მართლაც ოფლმომდენი შრომა მხოლოდ და მხოლოდ 700 ცალის დაბეჭდვას მოსდომებია.

ტომისთვის დართულ სარედაქციო წინასიტყვაობაში ნათქვამია:




„წინამდებარე ტომით ვიწყებთ ბეჭდვას ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერებისას, რომელთა საერთო მოცულობა, ჩვენი ვარაუდით, ათ ტომს შეადგენს. ამ უმდიდრეს მემკვიდრეობას სრულიად განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში: XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო მოვლენა, რომელსაც ილია პუბლიცისტის მახვილი კალმით არ გამოხმაურებოდეს და საგულისხმო სიტყვა არ ეთქვას.

ილიას პუბლიცისტური წერილების დიდი ნაწილი ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი მისივე რედაქტორობით გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მოწინავეების, ფელეტონების, მიმოხილვების სახით. მათი ილიასეულობა იმდროინდელი მკითხველისათვის არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ავტორის ვინაობა მიიჩქმალა და მის დასადგენად საგანგებო კვლევა-ძიება გახდა საჭირო. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია გამოჩენილმა მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულების გამოცემის დროს. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი, აგრეთვე, ცნობილ ბიბლიოგრაფს თამარ მაჭავარიანს. ილიას ნაწარმოებთა ატრიბუციის საკითხებს ეხებოდნენ და არაერთი პუბლიცისტური წერილის ილიასეულობა ცხადყვეს პლ. კეშელავამ, ალ. კალანდაძემ, შ. გოზალიშვილმა, ნ. მალუტაშვილმა, ნ. ტაბიძემ და სხვებმა. მათი მოსაზრებანი დამატებითი არგუმენტებით განამტკიცა და ბოლო დროს ბევრი ახალი მასალა გამოავლინა ლ. ჭრელაშვილმა.

ყოველივე ამის შემდეგ ილიას პუბლიცისტური წერილების რაოდენობა წინა გამოცემებთან შედარებით რამდენიმე ასეულით გაიზარდა. ისინი პირველი პუბლიკაციის შემდეგ აღარ დაბეჭდილა და, ცხადია, თანამედროვე მკითხველისთვის თითქმის სრულიად უცნობია.

გარდა ამისა, რამდენიმე ათეული წერილი, რომელთა ილიასეულობა ჯერ კიდევ საეჭვოა და საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება, შედის სავარაუდო წერილების განყოფილებაში.

სრული სახით აღდგა ტექსტი რამდენიმე წერილისა, რომლებიც თავის დროზე შეკვეცილად დაიბეჭდა ან აკრძალული იყო ცენზურის მიერ და საერთოდ არ დაბეჭდილა.

ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ცნობებს მკითხველი იპოვნის თითოეული წერილის შენიშვნებსა და კომენტარებში.

წერილები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავტორის მიერ დათარიღებული არ არის. ისინი მეტწილად პირველი პუბლიკაციის მიხედვით თარიღდება.

44. ბაქრაძე ირაკლი, 1971, პროგრამისტი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე, საქართველოს პარლამენტი, უპარტიო
45. ცქიტიშვილი დიმიტრი, 1975, ეკონომისტი, რეფერენტი, დსთ-ს და მეზობლობიანი კავკასიის საქმეთა სახელმწიფო ბიურო, საქართველოს სოციალისტური პარტია
46. ბარათაშვილი მაია, 1961, ისტორიის და საზოგადოებათ მცოდნე. მასწავ., მდივან-სპეციალისტი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სოციალისტური პარტია
47. ქაჯაია შოთა, 1968, რკინიგზის მშენებლობა, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
48. სიმულიდი ალექსი, 1941, ინჟინერ-მშენებელი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
49. ბოგვერაძე ირაკლი, 1978, სტუდენტი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
50. გაბაშვილი ნინო, 1958, არქიტექტორი, მენეჯერი, შპს “ცენტრ-პოინტი“, უპარტიო
51. მახარაძე მიხეილ, 1979, ტექნოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
52. ბაკაშვილი ზურაბ, 1972, ინჟინერ-ჰიდროტექნიკი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
53. თევზაძე ნონა, 1964, ბიბლიოთეკარი და ბიბლიოგრაფია, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
54. ბურკიაშვილი ბესარიონ, 1979, საგარეო ეკონომიკური საქმიან. ორგანიზება, კომპიუტერული გრაფიკოსი, ტელევიზია “I სტერეო“, საქართველოს სოციალისტური პარტია
55. კობალავა ლუკა, 1979, ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
56. სეროფიანი მარგალიტა, 1954, ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერი, ოპერატორი, საქართველოს ტელეკომი, საქართველოს სოციალისტური პარტია
57. კობერიძე თემურ. 1977, სტატისტიკა, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
58. დოლიძე ლამარა, 1927, ინჟინერ-ტექნოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
59. ლაზუაშვილი ესტატე, 1977, სტუდენტი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
60. დანგაძე თამარ, 1978, ფსიქოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
61. დანგაძე ქეთევან, 1976, თეატრის მხატვარი, უმუშევარი, უპარტიო
62. გრიგოლია მოთა, 1979, სტუდენტი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
63. ყუფარაძე გიორგი, 1976, პრეციზიული მიკრო-იარაღების კონსტრუირება, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
64. დანელია ნუგზარ, 1957, ინჟინერ-მშენებელი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
65. ჯიბლაშვილი რამაზ, 1977, ტურიზმის გეოგრაფია, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
66. ყურაშვილი მაია, 1969, ექიმი-პედიატრი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
67. კობალავა ვალერიან, 1974, რენტგენო-ლაბორანტი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
68. მათიაშვილი ლიანა, 1961, ალგორითმის ოპერატორი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
69. ღლონტი თინა, 1974, ისტორიკოსი, უმუშევარი, უპარტიო
70. აბესაძე ციური, 1959, სოლო სიმღერა, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
71. ალავიძე მაია, 1968, სკოლამდელი აღზრდის და ფსიქ. სპეციალ., ფსიქოლოგი, არასამთავრობო ორგანიზაცია “სასოება“, უპარტიო
72. მეტრეველი კახაბერ, 1977, ტექნოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
73. ჭილლაძე ანა, 1976, სამიებო გეოფიზიკის მაგისტრი, უმუშევარი, უპარტიო
74. კობახიძე ლიდა, 1954, უმუშევარი, უპარტიო
75. მეფარიშვილი ლევან, 1975, საფონდო, სასაქონლო და შრო-მის ბირჟის, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
76. აბუაშვილი ნანა, 1960, ექიმ-თერაპევტი, დირექტორი, შპს “ფუტკარი“, საქართველოს სოციალისტური პარტია
77. ჯიაძე გიორგი, 1979, კვების ტექნოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
78. ანთაძე ნანა, 1978, ეკოლოგ-ლაბორანტი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
79. კერვალიშვილი ეკატერინე, 1975, ფილოლოგი, უმუშევარი, საქართველოს სოციალისტური პარტია
80. თეთრაძე ეკატერინე, 1980, რეალიზაციის ოფისის თანამშრომელი, შპს “მაგთიკომი“, საქართველოს სოციალისტური პარტია

## 40. ბლოკი “ერთობა“ - ჯ. პატიაშვილი, ალ. ჩაჩია“

1. მინდელი ზურაბ, 1937, ინჟინერ-თბოენერგეტიკოსი, ტექ. დირექტორი, შპს “ტაოტრანსკომპანი“, ბლოკი “ერთობა“
2. მაჩაიძე მანუჩარ, 1949, ინჟინერ-მშენებელი, უმუშევარი, უპარტიო
3. ჩიქვანაია ლევანი, 1928, პედაგოგი, დირექტორი, განათლების სამინისტროს პედ. მეცნ. ეროვნული ინსტიტუტი, უპარტიო
4. ანანიაშვილი ფარნაოზ, 1924, ფინანსისტი, პენსიონერი, უპარტიო
5. უგულავა ზურაბი, 1936, ინჟინერ-ტექნოლოგი, გენერალური დირექტორი, საწარმოო გაერთიანება “სოლანი-პლიუს“, ბლოკი “ერთობა“
6. ნინუა ნინო, 1936, მკურნალი ექიმი, კათედრის გამგე, თსსუ ნერვიულ სნეულებათა კათედრა, ბლოკი “ერთობა“
7. ყურაშვილი გუჯარ, 1951, სამტაბო-სამეთ. საერთოსაჯარისო, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
8. ჯიბლაძე მერაბ, 1941, ფიზიკოსი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ბლოკი “ერთობა“
9. ქორქია მიხეილი, 1948, ეკონომისტი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
10. სოკოლოვი დავით, 1936, ჟურნალისტი, წამყვანი, სტუდია “აუდიენცია“, ბლოკი “ერთობა“
11. ეჯიბაძე ოლეგი, 1940, ინჟინერ-ელექტრიკოსი, დოცენტი, თსუ, უპარტიო
12. ლომიძე არჯევან, 1950, სამართალმცოდნე, უმუშევარი, უპარტიო
13. ოქრუაშვილი ლენორ, 1933, სამთო ინჟინერგეოლოგი, დირექტორი, თბილისის პოლიტექ. კოლეჯი, ბლოკი “ერთობა“
14. თოდუა ირაკლი, 1975, საერთაშორისო ჟურნალისტიკა, მთ. რედაქტორის პირველი მოადგილე, გაზეთი “ასავალ-დასავალი“, უპარტიო
15. მარგიანი თეიმურაზ, 1959, ინჟინერ-ელექტრიკოსი, მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე, აფხაზეთის ეროვნ. უშ. მუშაობის მთ. სამმართველო, უპარტიო
16. ცხადაძე ზაურ, 1964, ფიზ. კულტურა და სპორტი, უმუშევარი, უპარტიო
17. ფურცელაძე ლევან, 1949, ინჟინ. გეოლოგი-გეოფიზიკოსი, წარმომადგენელი საქართველოში, ისრაელის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ბლოკი “ერთობა“
18. მათიაშვილი ელენე, 1954, ფილოლოგი ეკონომისტი, სასწ. ნაწილის გამგე, საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინს-ტ., ბლოკი “ერთობა“
19. ღუმბაძე მამია, 1975, პედაგოგი, უმუშევარი, უპარტიო
20. მნათობიშვილი ლევანი, 1939, ფიზიკოსი, აღმასრულებელი დირექტორი, პედაგოგთა კვალიფიკ. ამაღლების ცენტ.ინსტ., ბლოკი “ერთობა“
21. რუხაძე ვარლამი, 1950, აგრონომი, განყ. გამგე, მიწადმოქმედების ს/კ ინსტიტუტი, ბლოკი “ერთობა“
22. ჯიბლაშვილი ალექსანდრე, 1978, კინოსცენარისტი, სცენარისტი, სტუდია “აუდიენცია“, ბლოკი “ერთობა“
23. კარტოზია მოთა, 1978, გერმან. ენის სპეციალისტი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
24. ჯიბლაშვილი ილია, 1977, კინოსცენარისტი, სცენარისტი, სტუდია “აუდიენცია“, ბლოკი “ერთობა“
25. ფარულავა ალექსანდრე, 1941, ეკონომისტი, სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე, სს “საქწნევერსალი“, ბლოკი “ერთობა“
26. გობეჯიშვილი თამაზ, 1948, მექანიკოსი, წამყვანი მეც.მუშაკი, სამთო მექანიკის ინსტიტუტი, ბლოკი “ერთობა“
27. ძირკვაძე ემზარ, 1959, ინჟინერ-მექანიკოსი, დოცენტი, საქ. აგრარული უნივერსიტეტი, საქ.რეალ. კავშირი
28. ნუცუბიძე ნათელა, 1966, პედაგოგი, პედაგოგი, ქ.თბილისის 56-ე საშუალო სკოლა, ბლოკი “ერთობა“
29. ჯალაღანია როლანდი, 1942, ინჟინერ-ეკონომისტი, მთავარი რედაქტორი, გაზეთი “ილორი“, ბლოკი “ერთობა“
30. ექსეულიძე მამუკა, 1964, ინჟინერ-ელ.მექანიკოსი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
31. კოპალიანი თენგიზ, 1940, ინჟინერ-ტექნოლოგი ეკონომისტი, დირექტორის მოადგილე, შპს “ჯემ-გრეიდი“, ბლოკი “ერთობა“
32. მესხიშვილი გიორგი, 1963, ექიმი პედიატრი, ექიმი ონკო-ჰემატოლოგი, ბავშვთა ცენტრალური კლინიკა, ჭ. გ. მუხაძის პედაგოგიის ინსტიტუტი, ბლოკი “ერთობა“
33. ცინცაძე ალექსანდრე, 1959, ინჟინერ-ეკონომისტი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
34. იაშვილი ნოდარ, 1941, სასურსათო საქონელმცოდნე, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
35. ლვინჯილია ზურაბ, 1950, ექიმი-თერაპევტი, გენ. დირექტორი, კორპორაცია “ლია“, ბლოკი “ერთობა“
36. ბერუაშვილი ცირა, 1944, ქიმიკოსი, განყოფილების გამგე, შავი ზღვის დაცვისა და რესურსების კვლევითი სახ. სააგენტო, ბლოკი “ერთობა“
37. ონიანი ჯულიეტა, 1951, ექიმი, უფროსი ლაბორანტი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი II სამეანო გინეკოლოგიური კათედრა, ბლოკი “ერთობა“
38. ჯაყელი კახაბერ, 1967, ეკონომისტი, ეკონომისტი, საქ. სტრატ.კვლევებისა და განვით. ცენტრი, ბლოკი “ერთობა“
39. რურუა რევაზ, 1938, მხატვარ- კონსტრუქტორი, მთავარი მხატვარი, განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი, ბლოკი “ერთობა“
40. ძოწენიძე როლანდ, 1939, ინჟინერ- მათემატიკოსი, დირექტორის მოადგილე, შპს “კრწანისი-2000“, ბლოკი “ერთობა“
41. კობახიძე მარინე, 1966, პროვიზორი, მთავარი პროვიზორი, სასწ.სამედ.დახმ. ცენტრის აფთიაქი, ბლოკი “ერთობა“
42. ბარნოვი ნუგზარ, 1966, ეკონომისტი, დირექტორი, შპს “ &B“, ბლოკი “ერთობა“
43. კრავეიშვილი ანჟელა, 1948, ექიმი ჰიგიენისტი, პედაგოგი, ფიზ. და სპ. აკადემია სპორტ.მედ.კათედრა, ბლოკი “ერთობა“
44. ცხვედიანი თეიმურაზ, 1949, სამართალმცოდნე, იურისტი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
45. შამუგია ვალერიან, 1937, რეჟისორი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
46. ფიფია ალექსი, 1947, ინჟინერ-ტექნოლოგი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
47. გულისაშვილი პაატა, 1966, იურისტი, უმუშევარი, უპარტიო
48. ნებიერიძე იური, 1946, პედაგოგი, რედაქტორი, გაზეთი “ზარია ვოსტოკა“, უპარტიო
49. ჯაფარიძე მარიკა, 1976, სამართალმცოდნე, იურისტი, იურისტი, სემეკისაქ.ენერგეტიკ. მარეგულირებ.კომისია, უპარტიო
50. ქობულია ნინო, 1950, მკურნალი ექიმი, დირექტორის მოადგილე, შპს ?4 სამკურნალო პროფ.ცენტრი, უპარტიო
51. ფოცხვერაშვილი მიხეილ, 1966, არქიტექტორი, მთავარი არქიტექტორი, შპს “მარიალი“, ბლოკი “ერთობა“
52. ბათმანიდი დიმიტრი, 1950, სამკ.ნაკეთ. ტექნოლოგი, სპეციალისტი, ქ.თბილისის საკრებულო, ბლოკი “ერთობა“
53. ლელაძე თინათინ, 1975, ინგლისური ენის ფილოლოგი, თარჯიმანი, შპს “ბეკო“, ბლოკი “ერთობა“
54. დადეანი გიორგი, 1966, მიმოსვლ. გზათა ინჟ.-მშენებელი, დირექტორი, შპს “მარიალი“, ბლოკი “ერთობა“
55. შალამბერიძე მალხაზ, 1966, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერი, შპს “მარიალი“, ბლოკი “ერთობა“
56. გრიგალაშვილი მალხაზ, 1965, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
57. ლორთქიფანიძე ვალერიან, 1969, ჰიდრომშენებელი, ინჟინერი, სამშენებლო სამმართ. “სამგორწყალმშენი“, ბლოკი “ერთობა“
58. ანდღულაძე ნოდარ, 1978, ეკონომისტი, მორაგბე, საქ. რაგბის ნაკრები, ბლოკი “ერთობა“
59. ქორიძე ვიქტორ, 1969, ეკონომისტი, უსაფრთხოების დაცვის ინჟინერი, შპს “სანთელი“, ბლოკი “ერთობა“
60. აბაშიძე ვასილი, 1978, იურისტი, მორაგბე, საქ. რაგბის ნაკრები, ბლოკი “ერთობა“
61. გიგიშვილი გიორგი, 1968, მშენებელ-ინჟინერი, მენეჯერი, შპს “გიორგი“, ბლოკი “ერთობა“
62. არევაძე ფრიდონ, 1973, ეკონომისტი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
63. ირემაშვილი გიორგი, 1937, ვეტექიმი, პრეზიდენტი, საქველმოქმედო ასოციაცია “მადლი“, ბლოკი “ერთობა“
64. იობაშვილი ამირან, 1949, ეკონომისტი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
65. ჯულუხიძე ზაზა, 1971, ინჟინერ-მექანიკოსი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
66. გაბოძე თამარ, 1981, სტუდენტი, ბლოკი “ერთობა“
67. ჯავახიშვილი ნინო, 1970, ფილოსოფოსი, ტექნიკოსი, სააქციო საზოგადოება “თბილგაზი“, ბლოკი “ერთობა“
68. კაიმაური რაისა, 1942, ბიოლოგი, ექიმი-სტატისტიკოსი, შპს?31 პოლიკლინიკა, ბლოკი “ერთობა“
69. გოგოლაძე დავით, 1962, ენერგეტიკი, დამხარისხებელი, სალოკომოტივო დეპო, ბლოკი “ერთობა“
70. კაჟილაძე გია, 1958, ელ.მომარაგება- ინჟ. ენერგეტიკი, ინჟინერ-ელექტრიკი, “ეი-ი-ეს“ თელასი, ბლოკი “ერთობა“
71. გელაშვილი ნინო, 1980, სტუდენტი, ბლოკი “ერთობა“
72. ძამიაშვილი გივი, 1948, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
73. მინდორაშვილი თამარ, 1962, ინჟინერ-ელექტრო მექ., უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
74. გირგველიანი ხათუნა, 1976, იურისტი, ადვოკატი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის ადვოკატურა, ბლოკი “ერთობა“
75. ქარაული მარინე, 1979, სტუდენტი, ბლოკი “ერთობა“
76. ბაქრაძე შალვა, 1965, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
77. ჭელიძე აკაკი, 1977, ბიოტექნოლოგი, საკრედიტო მენეჯერი, ს.ს. “თბილუნივერსალბანკი“, ბლოკი “ერთობა“
78. მღებრიშვილი კახაბერ, 1971, ხის დამუშავების ტექნოლოგი, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“
79. გეჯაძე ქეთევან, 1976, უმუშევარი, ბლოკი “ერთობა“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 მაისი, 2002 წელი.

№2 (42)

საქართველოს რესპუბლიკა — ყოველთვიური დამატება

## საიუბილეოდ

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საავიაციო ინსტიტუტის შექმნიდან ათი წელი გავიდა. ინსტიტუტის ამ მცირეხნოვანი ისტორიის ფონზე, აქ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა თუ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორიები ინსტიტუტის ფუძემდებლების ნამდვილ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ამ საქმეს დარგის გამოცდილი სპეციალისტი უდგას სათავეში.**

**1992 წლიდან დღემდე საავიაციო ინსტიტუტს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ტეფნაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ სანკტ-პეტერბურგში არსებული საერთაშორისო სატრანსპორტო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.**



# ავიაციის პირველი დოქტორი

***– ცნობილია, რომ თქვენ საქართველოს ავიაციის პირველი დოქტორი ბრძანდებით. ამჟერად, უკვე, უდიდესი ისტორიისა და მნიშვნელობის მქონე აკადემიამ თავის მეცნიერებათა რიგებში მიგიღოთ. საინტერესოა ამ წარმატების ისტორია.***

– როგორც ცნობილია, სანკტ-პეტერბურგში არსებობს საერთაშორისო სატრანსპორტო აკადემია, სადაც ტრანსპორტის დარგის მრავალი მიმართულებაა გაერთიანებული. ნამდვილ წევრად სწორედ აქ ამირჩიეს. პრაქტიკულად ჩემი არჩევა 2000 წელს მოხდა, მაგრამ წესის მიხედვით, თითოეული კანდიდატი ნამდვილ წევრობამდე გარკვეულ პროცედურას გადის. მოწმდება მისი სამეცნიერო შრომები, დამსახურება, პროფესიონალიზმი და, ამის შემდეგ, სპეციალური კომისია კანდიდატის ნამდვილ წევრად მიღების ან არმიღების გადაწყვეტილებას იღებს.

ასე რომ, 2000 წელს არჩეულმა, ნამდვილი წევრის სტატუსი წელს მივიღე და შესაბამისი დიპლომიც გადმომცეს.

ჩემს ნამდვილ წევრად არჩევას, ალბათ, ისიც დაეხმარა, რომ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია სანკტ-პეტერბურგის სამოქალაქო ავიაციის აკადემიაში მაქვს დაცული. აღნიშნული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან ბევრნი ასევე საერთაშორისო სატრანსპორტო აკადემიის საბჭოს წევრებიც არიან.

***– როგორც ირკვევა, თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ თქვენი დარგის რუს კოლეგებთან, რუსეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან. ეს ურთიერთობა თუ ისახება საავიაციო ინსტიტუტის რეალობაში?***

– ჩვენს ინსტიტუტს ხელშეკრულება აქვს დადებული აღნიშნულ აკადემიასთან, რომლის პრეზიდენტია პ. კრიჟანოვსკი. ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ სპეციალისტებს პეტერბურგის აკადემიაში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საშუალება აქვთ. ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებითაც. ჩვენი სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას სწორედ პეტერბურგის საერთაშორისო სატრანსპორტო აკადემიაში გადიან. მათი ლექტორები სისტემატურად ჩამოდიან საქართველოში და ჩვენ სტუდენტებს ლექციათა მოკლე კურსს უსასყიდლოდ უკითხავენ.

***– თქვენი ავტორობით „ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო განმარტებითი ლექსიკონი“ გამოიცა. როგორც ავტორი, რას გვეტყოდით აღნიშნული წიგნის შესახებ?***

– საავიაციო ლიტერატურა ქართულ ენაზე ძალიან ცოტაა. ჩვენ ბოლო პერიოდში შევძელით რამდენიმე სახელმძღვანელოს გამოცემა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ამ მიმართულებით ინსტიტუტში მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. სულ რამდენიმე დღეა, რაც ჩემი ავტორობით „ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო განმარტებითი ლექსიკონი“ გამოიცა. ლექსიკონი მთლიანად ილუსტრირებულია. პრაქტიკულად ტერმინს თან საფრენი აპარატის დეტალების ილუსტრაციაც ახლავს. ლექსიკონში 5000 სიტყვაა. წიგნი მფრინავებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს დიდ დახმარებას გაუწევს. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს ბატონ რამაზ ხუროძეს, რომელმაც წიგნის გამოცემის საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია.

***– როგორც ცნობილია, აშშ საქართველოს სამხედრო ავიაციას განვითარებაში ეხმარება. საინტერესოა, ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვან საქმეში თქვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულები თუ იღებენ მონაწილეობას?***

– საქართველოში ამერიკელების ანტიტერორისტული აქციის დაწყებამდე ჩვენი 12 კურსანტი საქართველოსთვის საჩუქრად გადმოცემული „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენების ექსპლუატაციის შესასწავლად უშუალოდ აშშ-ში იმყოფებოდა. ახლა, როცა ამერიკა საქართველოს სამხედრო ავიაციის შექმნაში აშკარად ეხმარება, მათ მიერ გადმოცემული ტექნიკის დიდ ნაწილს ჩვენი კურსანტებიც უწევენ ექსპლუატაციას. მათ სპეციალური მომზადებაც გაიარეს და უკვე ისინი ქართული შეიარაღებული ძალების რიგებში დგანან. ეს ჩვენი მხრიდან ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობაა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი მაშინდელი სამოქალაქო ავიაციის სამმართველო გახლდათ. ასევე, ჩვენ წარჩინებულ სტუდენტებს პრაქტიკის გასავლელად ტრადიციულად გერმანიაში ვაგზავნით და, ჩვენდა სასახელოდ, გერმანელი კოლეგებისგან მადლობის წერილებიც მიგვიღია. ყოფილა შემთხვევა, რომ 6 თვით გაგზავნილი ჩვენი სტუდენტისათვის, მისი სწავლისადმი დიდი ინტერესის გამო, პრაქტიკის ვადა 3 წლამდე გაუგრძელებიათ.

***– ბატონო სერგო, ჩვენ ისღა დაგვრჩენია გისურვოთ როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო წარმატებები, რადგან, როგორც ვხედავთ, თქვენი პირადი წარმატებები სისხლხორცეულად უშუალოდ ინსტიტუტის წინსვლასთანაცაა დაკავშირებული.***

**ნიკა ბრეგვაძე.**

## „გეპეელი“

**სტუდენტობას თავისი უხილავი მავთული აქვს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ადამიანი. სპი-ის ქიმიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ქალბატონ ნანა პაპაბაძეს სწორედ სპი-ში გატარებულმა ახალგაზრდობამ გაუღვიძა ეროვნული იდეალები და სადღეისოდ მისი ნიჭი თუ შემართება უფლებაშელახულ ადამიანთა დაცვასთან შეაჩერა. როგორი სპი ჩარჩა მის მეხსიერებაში? ამის შესახებ ქალბატონი ნანა თავად მოგვითხრობს:**

# რექტორატს ჩემს გამო ავიწროებდნენ, მაგრამ ამისთვის არავინ გამცემია



– სექტემბრის პირველ დღეს არეული ფიქრებითა და ოცნებებით სპი-ის წიაღში აღმოვჩნდი. ვერ წარმომედგინა, თბილისის უნივერსიტეტის შემდეგ ასე თუ შევეწყობოდი აქაურ გარემოსა და წეს-ჩვეულებებს. პროფესორ-მასწავლებლებთან თბილ ურთიერთობებს, მათ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მუდმივად ენაცვლებოდა სპი-სთვის დამახასიათებელი დისციპლინა და საგამოცდო სესიების ციებ-ცხელება.

***– თქვენი თანამედროვე სტუდენტური გარემო იყო თუ არა იდეალური მაშინდელი ახალგაზრდისათვის?***

– მყარი ცოდნის მიღებას უმაღლესი სასწავლებლები, მათ შორის სპი-ც ჭეშმარიტად უზრუნველყოფდნენ, არ არსებობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა, სათანადო დონეზე იდგა საპრაქტიკო საქმეც. პირადად მე კი დიდ დახმარებას მიწევდა სპი-ის უნიკალური ტექნიკური ბიბლიოთეკა.

***– თუ გამოყოფდით თანაკურსელთა შორის გამორჩეულ პიროვნებებს. ლექტორებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს თქვენს ცხოვრებაში?***

– მადლიერი ვარ, რომ ჩემი ჯგუფი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილით იყო დაკომპლექტებული. ესენი იყვნენ ოქროს მედალოსნები, ის მარადმწვანე აბიტურიენტები, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტმა, სამედიცინო ინსტიტუტმა დაიწუნეს. მათგან ბევრი, ამჟამად, სახელმწიფო თუ კერძო ბიზნესის სფეროში მოღვაწეობს. რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლებს, პირადად ჩემთვის ძვირფასი იყო რექ-

იხ. მე-10 გვ.

## ფარმაცია

# ტუბერკულოზს სიღარიბე უყვარს

ამ დაავადების სიმპტომები ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელების პაპირუსებში, ინდოელების მანუსკრიპტებში, ჰიპოკრატეს, იბნ სინასა და სხვათა შრომებშია აღწერილი. ამ დაავადების ნიშნები დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულების ეგვიპტურ მუმიებშია აღმოჩენილი. ასევე დიდი იყო ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა XVII-XVIII საუკუნეებში ლონდონში, ჰამბურგში, სტოკჰოლმში, ევროპის სხვა ქალაქებში. საქართველოში განსაკუთრებით გავრცელდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა. საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს ექიმების დაავადებასთან ბრძოლის შედეგი მხოლოდ ერთია, დროდადრო მცირდება მისი გავრცელების ეპიდემია და მაინც ყოველწლიურად მსოფლიოში 3,5 მილიონი ავადდება და 0,5 მილიონზე მეტი ადამიანი კვდება. იგი მესამე ადგილზეა სასიკვდილო დაავადებებს შორის.

ფილტვებში ბაქტერიის გააქტიურების ადგილებში წვრილი ხორკლები ან უფრო დიდი კერები ჩნდება. ხორკლები, აი, საიდან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც. ლათინურად ხორკლი – tubrculum ტუბერკულოზი, ანუ ჭლექი, როგორც მას ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ.

დღესდღეობით მსოფლიოში მილიონი ინფიცირებულთა და სიმსივნით დაავადებულთა ყოველწლიურად მზარდი სიკვდილიანობის ფონზე საზოგადოებისათვის ტუბერკულოზით დაავადების საშიშროება, თითქოს, იმდენად შემაშფოთებელი არ არის. სტატისტიკური მონაცემები კი აბსოლუტურად საწინააღმდეგოს მანიშნებელია. ტუბერკულოზი სიკვდილიანობის მიხედვით მესამეა მთელ მსოფლიოში. ეპიდემიის გავრცელება კი პირდაპირაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარების დონეზე. იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობას ყოფა-ცხოვრების ცუდი პირობები აქვს, იკვებება არასრულფასოვანი პროდუქციით და შესაბამისად ორგანიზმს ბრძოლის უნარი არ გააჩნია, ამ დაავადების გამომწვევ მიკრობაქტერიებს (კოხის ჩხირი) სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისთვის საუკეთესო ნიადაგი ექმნება.

იხ. მე-10 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 118-119, შაბათი, 18 მაისი, 2002 წელი.

## კონტაქტები

ზიგფრიდ კრაინერი საქართველოსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი მეგობარი და გულშემატკივარია. ეს მეგობრობა თითქმის ოცი წელიწადია გრძელდება, რის შედეგადაც მრავალ საქველმოქმედო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი.

ზიგფრიდ კრაინერი დიპლომირებული პედაგოგი და ფსიქოლოგია. 10 წელიწადია მოღვაწეობს კარლსრუეს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში. ამავე დროს არის მსახიობი და რეჟისორი. მისი რეჟისორობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (გერმანიაში, მექსიკაში, საქართველოში, ავსტრიაში და სხვ.) დაიდგა სპექტაკლები. იგი მსოფლიო თეატრალური გაერთიანების წევრი და კარლსრუეს უნივერსიტეტის დოცენტია.

ზიგფრიდ კრაინერის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი სტუდენტებისა და დოცენტების გაცვლას.

1986 წელს კრაინერმა პირველად წარმოადგინა თავისი თეატრი „სანკლორი“ თბილისსა და ქუთაისში. მისი ხელშეწყობით მიიწვიეს გერმანიაში (კარლსრუესში, ჰაიდელბერგში, ფრაიბურგსა და სხვა ქალაქებში) სხვადასხვა თეატრალურ ფესტივალებზე ქართველი რეჟისორები და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრი „მოდი ნახე“.

2000 წლის ოქტომბრიდან დღემდე იგი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეატრის ისტორიისა და ევროთეატრების რეფორმების შესახებ ოთხ კვირაში ერთხელ ლექცია-სემინარებს ატარებს. მგზავრობასა და საქართველოში ყოფნას ზიგფრიდ კრაინერი თავად აფინანსებს.

# სანამ მოგზაურობა შემემლება, საქართველოში მუდამ ჩამოვალ

***— როგორც ცნობილია, თქვენი საქართველოსთან მეგობრობა 17 წელიწადს ითვლის: იმ დროიდან, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო, როგორ გაიცანით ჩვენი ქვეყანა?***

— მე აქ მოსკოვიდან ჩამოვედი. იმ პერიოდში რუსეთის კულტურის სამინისტრომ მცირე ზომის პროფესიული თეატრების დასათვალიერებლად მიმიწვია. მათ პატარ-პატარა სარდაფებში, ბინებში მოთავსებული შესანიშნავი თეატრები მაჩვენეს. 2 წლით ადრე, მექსიკაში ყოფნისას, ქართული თეატრი გავიცანი. საქართველოს კულტურის მინისტრმა მოიხრა, საქართველოში ჩამოდიო. მეც ვთხოვე, საქართველოში გავეშვით, რუსები გაოცდნენ, ნუთუ მოსკოვი არ მოგწონს, გული საქართველოსკენ რომ მიგიწევსო.

საქართველოში რომ ჩამოვედი, პირველ რიგში, თეატრები მოვინახულე. დავესწარი ყველა სპექტაკლს, განსაკუთრებით მინდოდა უმაღლესი სასწავლებლების თეატრების ნახვა. ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრმა „მოდი ნახემ“ გამორჩეულად დამაინტერესა. სწორედ ეს თეატრი (სხვა თეატრების გასაოცრად) მიეიწვიე კარლსრუეში. ნუგზარ ბუცხრიკიძე გერმანიაში დგამდა სპექტაკლებს, მე — საქართველოში.

იმ პერიოდში მინდოდა თეატრალური ფესტივალი მომეწყო მთელი კავკასიისათვის. მოვიარე აზერბაიჯანი, სომხეთი-გერმანიის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან კინკელთან ერთად და გადავწყვიტეთ ფესტივალი თბილისში ჩაგვეტარებინა. მაგრამ მაშინ საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო. ჩვენ ისედაც პრობლემები გვქონდა, ამიტომ ფესტივალი ჩაიშალა.

ამასობაში მივხვდი, რომ საქართველო ძალიან შემიყვარდა. ეს სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მინდოდა ყველას გადასდებოდა მსგავსი გრძნობა, ამიტომ საინტერესო პიროვნებები ყოველთვის ჩამომყავდა და საქართველოს მათაც ვაცნობდი.

ჩემთვის ძალიან სასიხარულოა,

იხ. მე-11 გვ.



ზიგფრიდ კრაინერი ქართველ სტუდენტებთან ლექციაზე.



ზიგფრიდ კრაინერი, რამაზ ხუროძე, ზურაბ ჩხენკელი.

## ფარმაცია

# ტუბერკულოზს სილარიბე უყვარს

(მეცხრე გვერდიდან)

პრეპარატები, რომლებიც ტუბერკულოზის სამკურნალოდ გამოიყენება, თითქმის 30-40 წელია მოიხმარება. ისინი, ძირითადად, ერთი ჯგუფის პრეპარატებია და შესაბამისად, მათი მოქმედება ერთმანეთისგან ბევრად არ განსხვავდება. გარდა აღნიშნულისა, ტუბერკულოზის გამომწვევი მიკრობაქტერია ამ ხნის განმავლობაში იმდენად შეეგუა პრეპარატებს, რომ მკურნალობა, შეიძლება ითქვას, უშედეგოა.

მსოფლიოს წამყვანი ფარმაკოლოგები, ქიმიკოსები, ბიოლოგები, ფიზიოლოგები თითქმის ყოველ წელიწადს გამართულ სიმპოზიუმებზე იკრიბებიან და ერთმანეთს კვლევის შედეგებს უზიარებენ. ასეთი კვლევები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზეც მიმდინარეობს. კათედრისა და მისი გამგის პროფესორ თეიმურაზ ხოშტარიას კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა სინთეზია.

ორგანული ქიმიის, ბიოლოგიისა და ფარმაკოლოგიის შესაყარზე აღმოცენებული ახალი მეცნიერული მიმართულებაა ბიოორგანული ქიმია, რომლის ძირითად მიზანს სამკურნალო საშუალებების შექმნასა და ფარმაკოლოგიურ კვლევასთან ერთად, ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების მექანიზმის შესწავლა წარმოადგენს. კათედრის მიზანდასახული კვლევა ახალი ინდოლშემცველი ტეტრაციკლური კონდენსირებული სისტემების შექმნა და მათ საფუძველზე მიღებული სამკურნალო პრეპარატების ფარმაკოლოგიური შესწავლაა.

აღნიშნული ჰეტეროციკლური სისტემები მედიცინის მეცნიერებაში ჯერ აღუწერელ ჰეტეროციკლურ ნაერთთა კლასს მიეკუთვნება. ამ სისტემების სინთეზი პირველად სტუ ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზე ჩატარდა. ახალი თაობის სამკურნალო პრეპარატების მისაღებად გამოიყენეს „ფარმაკოდინამიური მატარებელი“.

სწორედ ინდოლის, ამ უმარტივესი სტრუქტურის და ამასთან ფიზიოლოგიური ქმედების გასაოცარი მრავალფეროვნების მქონე ჰეტეროციკლური ფრაგმენტის აღნიშნულ ტეტრაციკლურ სისტემებში შეყვანამ განაპირობა დიდი გამოხმაურება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზე სინთეზირებული ნაერთებით დაინტერესდნენ ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტი (აშშ); ტუბერკულოზის ინსტიტუტი (აშშ); სიმსივნის ეროვნული ინსტიტუტი (ბელგია); ფარმაცევტული ფირმა „**Astra Zenera**“ (ინდოეთი). ამ უკანასკნელთან ერთად მიმდინარეობს სინთეზირებული ნაერთების ერთობლივი ფარმაკოლოგიური კვლევა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ახალი თაობის პრეპარატების მოსაძიებლად.

2002 წლის იანვარში ინდოეთში, ქალაქ ბანგალორში საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, რომელიც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატების ფარმაკოლოგიურ გამოკვლევებს მიეძღვნა. პროფესორი თეიმურაზ ხოშტარია სიმპოზიუმზე ფარმაცევტული ფირმის „**Astra Zenera**“-ს პრეზიდენტის ანანდ კუმარის პერსონალური მიწვევით იმყოფებოდა და საქართველოში შესრულებული კვლევის შედეგები წარადგინა.

ინდოლშემცველი ტეტრაციკლური კონდესირებული სისტემების შესაქმნელად შემუშავებული ორი ახალი რეაქცია სიგელით და ფულადი პრემიით აღინიშნა და 100 გამორჩეულ რეაქციათა სიაში შეიტანეს.

კათედრაზე კვლევები კვლავაც გრძელდება. სპეციალისტების აზრით, ეს კვლევები ახალი თაობის პრეპარატების საფუძველთა შექმნამდე მიგვიყვანს.

**თამუნა დუღაშვილი.**

## რკინიგზა

# კადრი, რომლის დეფიციტიც გვქონია

მაშინ, როდესაც ბრიუსელში შეკრებილმა რვა სახელმწიფოს ტრანსპორტის მინისტრებმა ევროპა-აზიის ერთობლივ სატრანსპორტო პროექტზე დაიწყეს საუბარი და „ტრასეკას“ პროექტმა განხორციელება დაიწყო, საქართველოს გავლით სარკინიგზო გადაზიდვებმაც იმატა. საჭირო გახდა დეფორმირებული ლიანდაგების გასწორება და ახლის დაგება. ამისათვის საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა საზღვარგარეთიდან თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი საკმაოდ ძვირადღირებული მანქანა-მექანიზმებიც ჩამოიტანა. მათი საცალო ღირებულება დაახლოებით 2-3 მილიონი დოლარია, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა შესაბამისი კადრი, რომელიც ამ მანქანა-მექანიზმების მართვას შეძლებდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რკინიგზის მშენებლობის, სადგურების, კვანძების, ლიანდაგებისა და სალიანდაგო მეურნეობის კათედრის გამგემ, პროფესორმა ენვერი მოისწრაფიშვილმა წამოაყენა იდეა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე სათანადო დონეზე რკინიგზის ინჟინერ მშენებლების გადამზადებაა შესაძლებელი. მან ამის შესახებ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსს აკაკი ჩხაიძეს აუწყა. ბატონმა აკაკიმ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს რამაზ ხუროძეს მიმართა თხოვნით: საქართველოს რკინიგზის პროგრამით დაიწყო და წარმატებით გრძელდება რკინიგზის სალიანდაგო მეურნეობის აღჭურვა თანამედროვე მექანიზაციის საშუალებებით.

ახალი მანქანა-მექანიზმების წარმატებული ექსპლუატაციისა და შესაძლებელ სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი გახდა სათანადო მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა.

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა-ჰთხოვთ, სატრანსპორტო ფაკულტეტის ბაზაზე მოგვიმზადოთ კადრები: „სალიანდაგო მანქანებისა-და მექანიზმების“ სპეციალობით.

ეს საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოკლე დროში გადაწყვიტა. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა იმ სტუდენტებს დაუკავშირდა, რომელთაც ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრეს. დაიწყო მათი ახალი სპეციალობით გადამზადება. კონკურსის წესით 9 სტუდენტი შეირჩა. ახალგაზრდები სტაჟირებაზე ავსტრიაშიც იმყოფებოდნენ.

2002 წლის სექტემბრიდან სამშენებლო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების კათედრაზე, რომელსაც პროფესორი მიხეილ შილაკაძე ხელმძღვანელობს ახალი სპეციალობა გაიხსნება, რომელიც ხუთ წელიწადში საქართველოსათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის სპეციალისტებს მოამზადებს.

**მაია არაბიძე.**

## „გეპეელი“

# რექტორატს ჩემს გამო ავიწროებდნენ, მაგრამ ამისთვის არავინ გამეყრომია

(მეცხრე გვერდიდან)

ტორის ბატონ თეიმურაზ ლოლაძის შინაგანი მხარდაჭერა. საერთოდ კი ხანდაზმული, ინტელიგენტი თაობა გვმოძღვრავდა.

***— თქვენი, როგორც გეპეელის, პირველი სიხარული და წარუმატებლობა.***

— მათემატიკაში მისაღები გამოცდის ჩაბარებით გამოწვეული სიხარული ჩემთვის ახლაც დაუვიწყარია. ეს იყო არაჩვეულებრივი ფაქტი: ცოცხალი ადამიანი გამოცდას მანქანასთან აბარებდა! რაც შეეხება წარუმატებლობას, ორი წელი ინსტიტუტიდან გარიცხული ვიყავი ჩემი პოლიტიკური შეხედულებების, ოდიოზურობის გამო.

***— რა დაგრჩათ სპი-დან ყველაზე ღირსახსოვარი?***

— ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის სტუდენტური გამოცდილება! სპი-ს სტუდენტობა ისევე ილვწოდა ქართველობის გადასარჩენად, როგორც უნივერსიტეტის ახალგაზრდობა. პირველი აქტიური, მასშტაბური გამოსვლა აქ მაშინ მოეწყო, როცა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ვითარების გამო პეტიცია გაევუგზავნეთ ცკ-ას წარმომადგენლობას. ბრეჟნევის საქართველოში ყოფნის ხანებში აქტიურად ვილვწოდით გეორგიევსკის ტრაქტატის აუკარგიანობაზე შეგვექმნა საზოგადოებრივი აზრი. პროკლამაციები ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ სპი-ში გავავრცელეთ, სტუდენტებს მოვუწოდებდით 14 აპრილი ეროვნული ლოცვის დღედ გამოგვეცხადებინა და სვეტიცხოველში მოგვეყარა თავი. ხელისუფლებისათვის არასასურველი ქმედებების გამო, მე და ჩემი მეგობრები გაგვასამართლეს, ორი წლით ჩამოგვაშორეს სტუდენტურ ცხოვრებას. ჩვენ კი ბოლომდე გვწამდა, რომ ჩვენი ცდა ამაო არ იქნებოდა.

***— როგორი სპი დახვდა 1985 წელს ნანა კაკაბაძეს — ქიმიური ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომელს და როგორ გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში?***

— ჩემი არასახარბიელო საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო სპი-ის რექტორატს გამუდმებით აეიწროებდნენ. თუმცა არც ერთი წუთით მათი გულისწყრომა არ მიგრძვნია, ასე დიდი იყო მაშინ პატივისცემა თავისუფლებისადმი, იმ იდეალებისადმი, რისთვისაც დავისაჯე. დღეს მოხარული ვარ, ამჟამინდელი „ამპლუა“ ჩემი სტუდენტური სულისკვეთების გამოძახილი რომაა.

***— თქვენ ბრძანდებით თანაავტორი წიგნისა „როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები“, ორიოდე სიტყვით ამის შესახებ.***

— არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისათვის“ XXს. 70-80-იან წლებში რეაქციის მსხვერპლ ადამიანებისგან შეიქმნა. ჩვენთვის იმდენად ძვირფასია ლტოლვა არჩევანის თავისუფლებისაკენ, საკუთარი აზრის გამოხატულებისაკენ, რომ საფუძველი ჩავუყარეთ ხსენებული წიგნის შექმნას, რომლისგანაც გაეიგებთ, თუ რა უფლებები აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, როგორ დაეიცვათ ისინი, ვის მიემართოთ უკიდურეს შემთხვევაში და ა.შ.

***— გრძნობთ თუ არა ნოსტალგიას სტუდენტური ცხოვრების მიმართ და ისურვებდით ახლა, რომ სტუდენტი იყოთ?***

— ნოსტალგიას ახალგაზრდობისადმი, მაშინდელი შემართება-სულისკვეთებისადმი ვგრძნობ, თუმცა სურვილი დღევანდელი დღის სტუდენტად ყოფნისა არ გამაჩნია. ჩემთვის მიუღებელია თანამედროვე სტუდენტური გარემო, დამოკიდებულება ლექტორსა და სტუდენტს, საზოგადოებასა და ახალგაზრდობას შორის. აქ ხომ ხიდია ჩატეხილი?!

***— თქვენი გულითადი რჩევები და სურვილები დღევანდელ სტუდენტებს.***

— უფრო მეტი მონდომებით დაეწაფეთ ცოდნის წყაროს, ვისურვებ, მოგმადლებოდეთ ის დიდი სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთგატანა, რაც ჩემი თაობის ახალგაზრდებს ასულდგმულებდა.

ესაუბრა
**მარიამ მაჭავარიანი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ფაკულტეტი

სამშენებლო კონსტრუქციების კათედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ტრადიციული კათედრაა. მას ამჟამად ბატონი აგული სოხაძე განაგებს, პიროვნება, რომელიც ამ უნივერსიტეტშია აღზრდილი. იგი 1949-1954 წლებში სტუდენტი იყო, აქვე გაწვლო გზა ასპირანტურიდან პროფესორობამდე. ათი წელიწადი (1964-1973 წ. წ.) იყო ინსტიტუტის პრორექტორი პერსპექტიული განვითარებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში.



ეს წმინდა ანკეტური მონაცემები, თავისთავადი შთამბეჭდაობის მიუხედავად, მთლიანად მაინც ვერ წარმოაჩენს აგული სოხაძის პიროვნულ სამყაროს, მისი ადამიანური ინტერესების, მისწრაფებებისა თუ ნიჭიერების სრულყოფილ სურათს.

აქტუალური და მაინც ერთობ „მიწიერი" საინჟინრო პროფესიის ქურუმობა, როგორც ერთი შეხედვით აღიქმება მისი პიროვნება, მაცდუნებელია, რადგან მშენებელ-ინჟინრის პროფესიულ ინტერესთა „მიღმა" ასევე ნათლად მოჩანს დიდი სულიერი კულტურის, ინტელექტის, ნატიფი იუმორის გრძნობით შემკული ქალაქელი კაცი, ღმერთს ხელოვანის ნიჭითაც რომ დაუმშვენებია, – თავკაცი იმ დიდი ოჯახისა, ჩვენს მუსიკალურ კულტურას ირმა სოხაძის სახელი რომ შემატა.

ვისაც აგული სოხაძის სიმღერა, გიტარაზე დაკვრა მოუსმენია, ნამდვილად არ გაუკვირდება ირმა სოხაძის უკვე ლეგენდად ქცეული ბიოგრაფია, ბიოგრაფია მომღერლისა, 7 წლის ასაკში რომ აალაპარაკა ევროპა და მაშინდელი საბჭოთა კავშირი. აგული სოხაძისთანა მამას ირმა სოხაძისთანა შვილი უნდა ჰყოლოდა სწორედ. ამის თაობაზე სიტყვა თუ ჩამოვარდება, მამა შვილზე ყალბი თავმდაბლობისა თუ პათეტიკის გარეშე იტყვის ხოლმე: „მე შეამაყება კიდეც, რადგან თავად უნდა იყო კარგი მამა, ირმასნაირი შვილი რომ გყავდეს. როგორც დიდ მხატვარს აქვს თავისი ტილოები, ირმა მეც ასე შევქმენი. მასზე ძალიან დიდი დრო დავკარგე, მაგრამ იმედები გამიმართლა".

ყველაზე ძვირფასი განძი აგული სოხაძისათვის (რასაკვირველია, ოჯახის მერე) მისი სამეგობრო წრეა. „არასოდეს მიცდია მყოლოდა ისეთი მეგობრები, რომელთა შორისაც მე ვიქნებოდი ლიდერი. ყოველთვის ჩემზე უკეთესი მეგობრები მყავდა". – ამბობს ბატონი აგული და ამით საკუთარი ადამიანური ბედნიერების სათავეებზეც მიგვანიშნებს.

ბატონი აგულის კათედრა მთელს უნივერსიტეტში გამოირჩევა ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით, ზნეობრივი სისუფთავით, სიმყუდროვით, სტუდენტთათვის შექმნილი სასურველი გარემოთი.

„– ეს ყველაფერი დიდი მონდომების ხარჯზეა შექმნილი, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო წლებში სტუდენტთა კონტინგენტი შემცირდა. ჩვენი ფაკულტეტი დღესდღეობით პრესტიჟულად აღარ ითვლება, რადგან ახალგაზრდების აზრით, მთავარია გქონდეს თანხა და ყველანაირი შენობის აშენება შესაძლებელი. პრობლემა გახდა კადრების დასაქმებაც. ადრე თუ ვიცოდით (და დაგეგმილიც იყო), რომ ყველა კურსდამთავრებულს სამუშაო გარანტირებული ექნებოდა, ახლა ასე აღარ ხდება. სამუშაო ადგილების უქონლობამ აბიტურიენტთა ინტერესიც შეამცირა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენთან ყველა დროისათვის აქტუალური საგნები იკითხება. აღსანიშნავია, რომ ბაკალავრიატში ის პროგრამა დარჩა, რაც ადრე იყო მოქმედებაში. რაც შეეხება მაგისტრატურას, მაგისტრებს ადრინდელისაგან განსხვავებით, სრულიად განსხვავებული პროგრამით ამზადებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი მაგისტრები საოცარ შედეგებს აღწევენ. ეს მათ მიერ სადიპლომო ნამუშევრების დაცვის დროსაც ელინდება. ასე რომ, ცოტა ხანში ასპირანტურა „უკან გადაიწევს" და ჩვენც, როგორც მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია მიღებული, მაგისტრატურა და დოქტორანტურა გვექნება."

# არასოდეს მიცდია, რომ ისეთი მეგობრები მყოლოდნენ, რომელთა შორის მე ვიქნებოდი ლიდერი

აღსანიშნავია, რომ კათედრაზე რამდენიმე წელიწადია ფრანგულენოვანი ჯგუფი ფუნქციონირებს. ამ შთამბეჭდავ სიახლეს თავის დროზე ბევრი სკეპტიკურად უცქერდა, მაგრამ 12 სტუდენტის მიერ ფრანგულ ენაზე ბრწყინვალედ დაცულმა სადიპლომო ნამუშევრებმა, როგორც ტექნიკური დარგის, ასევე ფრანგული ენის სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. „მოხარული ვიყავი, რომ ჩვენთან სადიპლომო ნამუშევრების დაცვის დროს ბალზაკის, მოპასანისა და სტენდალის ენა ჟღერდა. ამ მოვლენამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. კურსდამთავრებულებს დიპლომებში ჩაეწერათ, რომ მათ ტექნიკური უნივერსიტეტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობა დაამთავრეს ფრანგულენოვანი განხრით".

ჩვენმა თანამედროვეობამ უმაღლესი სასწავლებლების რეალობაზეც იქონია უარყოფითი გავლენა. მკვეთრად შემცირდა ახალგაზრდა სპეციალისტთა მისწრაფება პედაგოგიური მუშაობისადმი. ამაზე, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი გავლენა უმთავრესად ეკონომიკურმა ფაქტორმა მოახდინა. ნიჭიერი ახალგაზრდების უმეტესობა თავიანთ ადგილს სასწავლებლის გარეთ, კერძო ბიზნესში პოულობს. თუ ასე გაგრძელდა უმაღლესი სკოლები ძალიან მოკლე დროში მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა მწვავე დეფიციტის წინაშე დადგებიან. დასაფიქრებელია მაღალი საშუალო ასაკი საერთოდ ტექნიკურ უნივერსიტეტში, რაც განსაკუთრებით მაპროფილებელ კათედრებზე შეინიშნება. აუცილებელია კადრების გაახალგაზრდავება.

სტუ-ს ხელმძღვანელობა ახალგაზრდებს ცოდნის მისაღებად ყველა აუცილებელ პირობას უქმნის. გამონაკლისს არც სამშენებლო კონსტრუქციების კათედრა წარმოადგენს. „– ჩვენ რამდენიმე ასპირანტის მიღება მოვახერხეთ, რამდენიმე ახალგაზრდამ დისერტაციებიც დაიცვა. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ჩვენი შემცვლელი პროფესიონალები აღვზარდოთ", – აღნიშნავს ბატონი აგული.

რაც შეეხება უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ბატონ აგულის ამასთან დაკავშირებით თავისი მკვეთრი პოზიცია აქვს: „– მე დიდ საყვედურს ვეუბნები იმ ლექტორებს, რომლებიც სესიების შემდეგ თითქმის ცარიელ უწყისებს აბარებენ, ამბობენ რომ სტუდენტები ლექციებზე არ დადიან და ათასგვარ მიზეზს ასახელებენ. მე არც ლექციების გამცდენ სტუდენტებს ვამართლებ და არც ლექტორებს. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის მაგალითს მოვიტან: როცა მოედანზე სლავა მეტრეველი და მიშა მესხი თამაშობდა, ხალხი დადიოდა სტადიონზე. აღარ იყო მეტრეველი და მესხი აღარ იყო ხალხიც".

**ეკა ბოჭორიშვილი.**

## კონტაქტები

**(მეათე გვერდიდან)**

რომ შემიძლია ამ უნივერსიტეტში ვასწავლო, სტუდენტები საოცარი გულისხმიერებით მისმენენ და მადლიერები არიან. ისინი სხვადასხვა კითხვებს მისვამენ. ეს ჩემთვის ახალი მოტივიცაა.

***– თქვენ წლების განმავლობაში ადევნებთ თვალ-ყურს სტუ თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს". რა შეგიძლიათ გვითხრათ მთლიანად თეატრის შესახებ. შეიცვალა იგი ამ ხნის განმავლობაში თუ არა?***

– ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა თაობები იცვლება და ამით დასის შემადგენლობაც იცვლება, ჩვეულებრივი მომენტია. მსახიობის ჩამოყალიბებას, დახვეწას წლები სჭირდება, ამასობაში ისინი უმაღლესსაც ამთავრებენ. მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, სტუ თეატრი მაღალ დონეს მაინც ინარჩუნებს. ეს რეჟისურაზეა დამოკიდებული. ნუგზარ ბუცხრიკიძე ნიჭიერი და სულიერად მდიდარი პიროვნებაა. მის ნამუშევარს თავისი ხელწერა აქვს და მე მას ყოველთვის ამოვიცნობ-ხოლმე.

***– რამ გამოიწვია ევროპაში მიმდინარე თეატრების რეფორმა?***

ევროპის ინფრასტრუქტურაში უპირატესი ადგილი, ალბათ, გერმანიას უკავია, თითქმის ყველა ქალაქში დიდი სახელმწიფო თეატრები და აურაცხელი პატარ-პატარა თეატრებია. გერმანიის გაერთიანების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა თეატრების რაოდენობა. ბუნებრივია, სახელმწიფოს ამდენი თეატრის შენახვა არ შეუძლია, ეს უკვე ფუფუნებაა. ამიტომ ძალიან ბევრი თეატრი დაიხურა. ეს არის რეფორმის აუცილებლობის ერთი მხარე, მეორე კი თაობათა ცვლამ განაპირობა. ჩემი ასაკის რეჟისორები და მსახიობები პენსიაზე გადიან. მოდის ახალი ძალა, რომელსაც თავის მხრივ, სიახლე მოაქვს. ბოლო ხანს ძალიან იგრძნობა ამერიკანიზაცია. ახალგაზრდობა შეეჩვია და აუცილებელ მოთხოვნილებად გადაექცა ფუქსავატური, მსუბუქი გართობა. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ამერიკანიზაცია თავისი მიუზიკლური სტილით, სხეულის თავისებური პლასტიკურობით. დიდ წინააღმდეგობას გვიწევს მაგრამ... მაგრამ არსებობს მეორე ამერიკაც. დიდი ამერიკელი დრამატურგების ნამუშევრები ძალიან ძლიერი და მართლაც შესანიშნავია. საქართველოში ამერიკანიზაციის ასეთი მძლავრი გავლენა ჯერ არ შემინიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცნობილი ქართველი მსახიობი და რეჟისორი ამერიკასა და ინგლისში მუშაობს. საბედნიეროდ, ისინი შორს არიან ამგვარი გავლენისაგან.

# სანამ მოგზაურობა შემეძლება, საქართველოში მუდამ ჩამოვალ

გასულ კვირას მეტეხის თეატრში ვიყავი. სპექტაკლი ძალიან მომეწონა. რეპეტიციასაც დავესწარი. ეს ისეთი მუშაობის სახეა, რომელიც მე გერმანიაში ათეული წლების წინათ მინახავს.

ჩვენ, გერმანელ რეჟისორებს, ძალიან გვიჭირს ასეთი სერიოზული დრამატული სპექტაკლები წარმოვიდგინოთ. ვინაიდან გართობის მოყვარულ საზოგადოებას უფრო მხიარული, აზრობრივად ნაკლებად დატვირთული ნაწარმოები იზიდავს.

***– თქვენი, როგორც ევროპელის, თვალით დაინახეთ საქართველო და ქართველი ხალხი. რომელი ბუნება უფრო სჭარბობს, ევროპელის თუ აზიელის?***

– მე ყოველთვის მაოცებს ქართველებისგან გერმანიისა და მისი კულტურის სიყვარული. იშვიათად, რომ რომელიმე ქვეყანას ისეთი სულიერი ურთიერთობა ჰქონდეს გერმანიასთან, როგორც საქართველოა. ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრ სხვადასხვა წარმოშობის, სხვადასხვა ასაკის ადამიანს ვესაუბრებოდი. ჩემი სტუდენტების კითხვებიდან გამომდინარე ვრწმუნდები, რომ საქართველო მთლიანად ევროპული სულიერებისაა. მისი გონებრივი რესურსები მიმართულია უფრო ცენტრალური ევროპისკენ, მაგალითად, გერმანიისკენ, საფრანგეთისკენ და სხვა. აი, აზერბაიჯანი კი მთლიანად აზიური ქვეყანაა. შეიძლება სადმე მოიძებნოს ადამიანთა ჯგუფი, რომელზეც აზიური გავლენა ვრცელდება, მაგრამ საქართველო სულიერად, ძირითადად, ევროპის ნაწილია. განსაკუთრებით მომწონს ედუარდ შევარდნაძისა და გერჰარდ გენშერის ურთიერთობა. მაშინ მე ხშირად დავყვებოდი-ხოლმე საგარეო საქმეთა მინისტრს კონველს, მათ საუბარში ხშირად გაისმოდა შევარდნაძის გვარი. მან გორბაჩოვთან ერთად ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებას, ამას ჩვენ არასდროს დავივიწყებთ.

ჩვენ ედუარდ შევარდნაძეს ვუსურვებთ, რომ დიდხანს იყოს ცოცხალი. იგი ის ადამიანია, რომელიც საქართველოს წინ გაუძღვება და ევროპასთან დააახლოვებს.

***– თქვენი აზრი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრიუსელში ვიზიტთან დაკავშირებით.***

– მე ისეთი ცნობილი პიროვნება არა ვარ, რომ გერმანიაში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტებს დავესწრებოდი. გარდა ამისა, ამ დროს მე საქართველოში ვიყავი, ლექციებს ვკითხულობდი და ტელევიზიით ვადევნებდი თვალ-ყურს. და მაინც მოხარული ვარ, რომ შევარდნაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ამ გზით ის საქართველოს ევროპასთან კიდევ უფრო დააკავშირებს, მისი არჩეული გზა სწორია.

***– ცნობილია, რომ თქვენ სტუდენტებისა და დოცენტების გაცვლის ინიციატორი ბრძანდებით. რას გვეტყვით ამის შესახებ, რა შედეგი გამოიღო ამ ღონისძიებამ?***

– დაახლოებით 1985-86 წლებში ჩავუყარეთ საფუძველი სტუდენტთა გაცვლებს. გერმანიის მხრიდან კარლსრუეს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მაშინდელმა რექტორმა მიულერმა და საქართველოს მხრიდან ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა თეიმურაზ ლოლაძემ, შემდეგ გოჩა ჩოგოვაძემაც ხელი მოაწერეს სტუდენტთა გაცვლების პროექტს. ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ 1992 წლის ცნობილი მოვლენების გამო შემცირდა, თუმცა ეს პროცესი დღესაც გრძელდება. კარლსრუეს სტუდენტები საქართველოთი დღესაც ინტერესდებიან.




25 მაისიდან კარლსრუეს სავაჭრო მოედანზე მცირე თეატრების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. ამ ფესტივალზე მონაწილეობას სტუ თეატრ-სტუდია „მოდი-ნახეც" მიიღებს. ფესტივალის აფიშა.

***– თქვენ საქართველოში ქველმოქმედებას ეწევით, რამდენად კმაყოფილი ბრუნდებით სახლში?***

– კმაყოფილი მიედივარ თუ არა? რა თქმა უნდა, კმაყოფილი. კარლსრუეში ყველა მეკითხება, რატომ ვაკეთებ ამას. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს საკმაოდ ძვირი მიჯდება. ბილეთი გერმანიიდან საქართველოში 160 მარკა ღირს, ამას დამატებული სასტუმროს ღირებულებაც...?! მე ისეთ ასაკში ვარ, რაღაც დანაზოგი მაქვს. ეს საშუალებას მაძლევს სიამოვნება მივანიჭო საკუთარ თავს. სიამოვნება, რომელსაც ჩემი მეგობრები და სტუდენტები მგვრიან საქართველოში. როცა გერმანიაში აცხადებენ-ხოლმე, რომ უნდა დავეხმაროთ ხორვატებს, მექსიკელებს... მე და ჩემი ცოლი ვამბობთ, რომ ყველაფერი საქართველოში უნდა წავიღოთ.

რატომ გაქვთ საქართველოსთან ასეთი კავშირი? ეს ყველაფერი ისე ხდება, თითქოს ჩემს მეორე სამშობლოში მოვდიოდე. ყოველი შემთხვევა ძალიან გულითადია და ამის მოხარული ვარ. სანამ მოგზაურობა შემეძლება, მუდამ ჩამოვალ საქართველოში. ახლა თეატრის დასი ჩამოდის კარლსრუეში, მას რამდენიმე პროფესორიც მოჰყვება. ეს ურთიერთობები შეგვიძლია კიდევ უფრო გავაღრმაოთ, რათა გერმანელმა ხალხმა კარლსრუეში, ჰაიდელბერგში... იცოდეს რა ხალხი ცხოვრობს კავკასიაში, რა სულიერი ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს; ეს, ალბათ, ბევრ პოლიტიკოსს არ შეუძლია. არც ერთ ქვეყანასთან ასეთი ურთიერთობა არ მაკავშირებს. როცა ფრანკფურტში ვარ, აეროპორტის მუშაკებმა უკვე იციან, რომ მე საქართველოში მივფრინავ.

ადამიანთა ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბევრმა ამის ფასი არ იცის, მე ვცდილობ ყველასთან ახლო ურთიერთობა დავამყარო; ხალხისგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ: ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაფრთხილება... ეს არის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი ამ ქვეყანაში.

ესაუბრა
**ნინო ჩიქობავა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 118-119, შაბათი, 18 მაისი, 2002 წელი.

## ხელოვნება

# ფანქრის ნათალთა სიმფონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროქიმიის სპეციალობის სტუდენტი თინათინ გორელიშვილი მხატვრობითაც არის გატაცებული. შემოქმედებითი საქმიანობა მან სკოლიდან დაიწყო და პირველი პერსონალური გამოფენაც იქ მოაწყო. მისმა ნამუშევრებმა – ფანქრის ნათალებით შესრულებულმა კომპოზიციებმა, ყურადღება იმთავითვე მიიპყრო.

უნივერსიტეტში, პროფ. თ. წივწივაძისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის დირექტორის რეზო კლდიაშვილის დახმარებით, ჰიდრავლიკის ფაკულტეტის მიერ მოწყობილ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და მისმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გალერეა „ვაჩეში“ მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში მისი ერთი კომპოზიცია გაიყიდა. მაგრამ თ. გორელიშვილისათვის ყველაზე წარმატებული ხელოვნების ფესტივალი „მთენი 2000“ აღმოჩნდა. აქ მოწყობილ გამოფენა-კონკურსში მან პირველი ადგილი და პირველი პრემია მოიპოვა, ამასთანავე, ლაურეატიც გახდა. ხოლო, მხატვართა კავშირმა ხალხური ოსტატის წოდება მიანიჭა. ამ გამარჯვების შემდეგ ინტერესი მისი ნამუშევრებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. ის მონაწილეობდა სტუ სტუდკავშირის, ასევე, სტუ ქალთა ასოციაციის ეგიდით მოწყობილ საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენა-გაყიდვაში, ლაგუნა ვერეს საგამოფენო დარბაზში ახალგაზრდა ხელოვანთა კავშირის ეგიდით მოწყობილ „ხელოვნების ფესტივალში“, რომელიც ხელოვნების ყველა დარგს მოიცავდა.

ჩვენთან საუბრისას თინათინ გორელიშვილმა თქვა, რომ ბავშვობიდან ახლის ძიებაში იყო. სურდა რაღაც უცხო აღმოეჩინა. ფანქრის ნათალებით კომპოზიციის შექმნა კი მისთვის არავის უსწავლებია, თვითონ მოეიფიქრე და შემდეგ ძალიან გამიტაცაო.





***– თინათინ, თუ არიან შენი ხელოვნებით დაინტერესებული ისეთი ადამიანები, რომლებიც გეხმარებიან და რაში გამოიხატება ეს დახმარება?***

– ახლა ჩემი ხელოვნებით ბევრი დაინტერესდა და დახმარებასაც მიწევენ. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას მადლობა გადავუხადო. ბ-ნ რამაზ ხუროძის დახმარებით გამოვიკვლიეთ, რომ მუშაობის ასეთი მეთოდი დაფიქსირებული არსად არ არის. ამის საფუძველზე, საპატენტო განყოფილების თავმჯდომარემ, ბ-ნმა გ. სიბაშვილმა საავტორო უფლების ალება შემომთავაზა. ბ-ნმა რევაზ სტურუამ მომაწოდა იდეა, ინტერნეტში საკუთარი საიტის გახსნისა, სადაც ჩემი ბიოგრაფია, პრესაში გავრცელებული ინფორმაციები და ნამუშევრების ფოტომასალები იქნებოდა მოცემული. დღეისათვის ინტერნეტში ხუთი საიტი მაქვს გახსნილი.

***– დღეს, საქართველოში, ხელოვანს თავისი ნიჭის გამოვლენა ძალიან უჭირს, რადგან ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. თქვენს საქმესთან დაკავშირებით, კონკრეტული შემოთავაზება რომ გქონდეთ, წახვიდოდით თუ არა უცხოეთში სამუშაოდ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს სფეროში ახალს ვერაფერს შეისწავლიდით?***

– საზღვარგარეთ ბევრ ისეთ რამეს ვნახავდი, რაც მუშაობის დროს აუცილებლად გამომადგებოდა. მე მასალა მკარნახობს, თუ რა უნდა გავაკეთო და აქედან გამომდინარე, რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება იგი, ამ ახალ, დაუმტკიცებელ მეთოდს ხელოვნებაში, მით უფრო კარგად შევისწავლი და დავეუფლები.

***– გაქვთ თუ არა თავისუფალი დრო და როგორ იყენებთ მას?***

– თავისუფალი დრო არ მაქვს. მართალია, ხშირად დავდივარ თეატრში, გამოფენებზე, მაგრამ ეს ყველაფერი თავისუფალ დროს კი არ ხდება, არამედ ჩვეულებრივი მოვლენაა. სპექტაკლები სულიერად მასაზრდოებენ. თეატრიდან დადებითი ემოციებით დატვირთული გამოვდივარ. ყველაზე უსიამოვნო მომენტიდანაც კი სასიამოვნოს ვიჭერ.

***– ოპტიმისტი თუ ხართ?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ოპტიმისტი რომ არ ვიყო, ჩემს საქმიანობაში იმდენ წინააღმდეგობას ვხვდები, გამიჭირდებოდა, მათი გადალახვა. დაპირება ბევრია, შესრულება – მინიმალური. ყველა წვრილმანი საკითხი ფინანსურ პრობლემამდე მიდის.

***– საშუალება რომ გქონდეთ, როგორც ხელოვანი, რას შეცვლიდით დედაქალაქში?***

– უპირველესად, პარკებს მოვაწესრიგებდი. ლამაზ გარემოში გაზრდილ ბავშვს ფანტაზიის განვითარებისათვის კარგი ბაზისი აქვს. მშობელთა მზრუნველობასმოკლებულ ბავშვებს გამოფენებზე ვატარებდი, ხელოვნებისა და სილამაზისადმი ინტერესს აღვუძრავდი.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ თ. გორელიშვილის ორიგინალურმა ნამუშევრებმა ხელოვნების დარგის სპეციალისტთა დაინტერესება გამოიწვია, მოწონება დაიმსახურა, პოპულარობაც მოუტანა, მაგრამ მისთვის მთავარი ეს არ არის, „მინდა საქართველოს სახელი გამოჩნდეს და ხელოვნების ამ ახალი, დაუმტკიცებელი დარგის ავტორი ქართველი იყოს“.

ახალგაზრდა შემოქმედს ამ სურვილის ასრულება, წარმატება და მისი ხელოვნების თაყვანისმცემელთა სიმრავლე ვუსურვოთ.

ესაუბრა
**სოფიკო ჩიხლაძე.**

## საიუბილეოდ

# „როდესაც ზარბაზნები ქუხან, მაშინ მუზები დუმან?“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ, როდესაც სახელმწიფო შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური თუ გარეშე ფაქტორების გამო გაჭირვებაში იმყოფება, ამ დროს, ქვეყანაში მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობაზე ნაკლებად ფიქრობენ. თუმცა ისტორიას ამის საპირისპირო მაგალითებიც ახსოვს.

გერმანიასთან ბრძოლის დამთავრებისთანავე მსოფლიომ საბჭოთა კავშირი ზესახელმწიფოდ აღიარა და ეს მისი მეცნიერებისა და ეკონომიკის ომის შემდგომმა უსწრაფესმა აღორძინებამაც დაადასტურა. ბუნებრივია, ქვეყნისათვის ამ სიტუაციებიდან მეორე ვარიანტია მისაღები, და თუ ნებისმიერ სახელმწიფოში ამის მაგალითები ცალკეული მიმართულებით არსებობს, უდავოდ აღნიშვნის ღირსია.

1992 წელს, საქართველოს უკიდურესი გაჭირვების ჟამს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის კათედრა იქმნებოდა. კათედრის 10-წლიანი მოღვაწეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ინიციატორთა ის მიზნები, რაც მათ დასახული და მომავალზე გათვლილი ჰქონდათ, გამართლდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

„ევროპული განათლების სისტემაში, რომელიც XI, XII საუკუნეებში ჩაისახა, მრავალი სახის უნივერსიტეტი (კათოლიკური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სხვა) არსებობს. მათ შორის საკმაოდ პრესტიჟული და ავტორიტეტული ადგილი ტექნიკურ უნივერსიტეტებს უჭირავს. საკმარისია მოვიგონოთ ევარისტ გალუას ბიოგრაფია, რომლის ოცნებაც, როგორც მათემატიკოსისა, პარიზის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლა და სამეცნიერო მუშაობა იყო.

სამწუხაროდ, ჩვენს უნივერსიტეტში მათემატიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია) სრულად არ არის წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ისეთ ფუნდამენტურ დარგებს, როგორებიცაა ფიზიკა და ქიმია, საქართველოში კარგა ხნის ისტორია აქვს.“

**„დღეისათვის გამოყენებითი მათემატიკის დარგები მოსკოვის თითქმის ყველა მსხვილ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს. პროფილები სრულიად სხვადასხვაა – დაწყებული თეორიული მათემატიკის მიმართულებებიდან, დამთავრებული საინჟინრო მათემატიკითა და ეკონომიკური მათემატიკით.**

**ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა იმის არგუმენტაციას, რომ ჩვენს უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის ორ-სამ სპეციალიზაციაზე ვიფიქროთ.**

**გვაქვს კი რეალური საშუალებანი, „რესურსები“ ამ იდეის ხორცშესასხმელად? ანუ შევძლებთ კი ჩვენივე ძალებით (კადრებით) ყველა დასახული პრობლემის გადაჭრას?**

**ამაზე პასუხი შეგვიძლია ციფრებით გავცეთ. ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე 3 მეცნიერებათა დოქტორი მუშაობს. ამას დავუმატებთ იმას, რომ ჩვენი რიგები რამდენიმე საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდით შეივსო, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა სავალდებულო საგანი და სპეციალური კურსი, თავიანთი პრაქტიკულებითა და სემინარებით მაღალ პროფესიულ დონეზე წაიკითხება.**

**აღნიშნული არგუმენტაციები და შესაძლებლობანი, ჩემი აზრით, ქმნის საფუძველს, რათა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მათემატიკის სპეციალიზაციის არსებობაზე ვიფიქროთ.**

**ს. ლაზხი,**

**ფიზ. მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, უმაღლესი მათემატიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი,**

**1991 წ.“**

ამ განცხადების გაკეთებიდან არცთუ დიდი დრო არ იყო გასული, რომ სტუში ასეთი კათედრა შეიქმნა.

2002 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში „გამოყენებითი მათემატიკის კათედრის დაარსებიდან 10 წელი სრულდება. დღეს უკვე კათედრა სპეციალისტებს ორი პროფილით ამზადებს. „გამოყენებითი მათემატიკა“ – სპეციალიზაციები მათემატიკური მოდელირება, „საფინანსო მათემატიკა“, „საფინანსო ანალიზი“. იმის მიუხედავად, რომ კათედრას მხოლოდ 5 გამოშვება ჰქონდა, მის კურსდამთავრებულთაგან ერთმა (ა. მესხმა) 27 წლის ასაკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ექვსმა საკანდიდატო დისერტაცია შეასრულა. კათედრის კურსდამთავრებული ზვიად ხარებავა ამჟამად აშშ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორია, ხოლო ნატო ქემხაძე დიდი ბრიტანეთის უორვიკის უნივერსიტეტის პროფესორი.

კათედრის თანამშრომლები ამჟამად მივლინებით აშშ, ევროპისა და იაპონიის წამყვან უნივერსიტეტებში იმყოფებიან.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე კათედრაზე საიუბილეო სამეცნიერო სესია ჩატარდება, სადაც მონაწილეობას დარგის გერმანელი, იტალიელი, რუსი და ინგლისელი სპეციალისტები მიიღებენ.

**ელენე სამხარაძე.**

## ეს საინტერესოა

# გიგანტთა ქვაფენილი

კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთის სრუტის სანაპიროსა და ჰემბრიდის კუნძულებზე ანტრიმის დაბალი მთებია აღმართული. ისინი ვულკანური მოქმედების შედეგად კრატერებიდან ამოფრქვეულმა შავმა ლავამ წარმოქმნა იმ უზარმაზარი ნაპრალის გასწვრივ, რომელმაც 60 მილიონი წლის წინათ ირლანდია დიდი ბრიტანეთისაგან განაცალკევა.

მთის კალთები შავი ბაზალტითაა დაფარული. ბაზალტი მართლაც იშვიათი სახეობაა – თხევადი, ადვილად გამდინარეა და საათში 50 კმ სიჩქარეს ავითარებს. გაციებისას კი მაგრდება, სკდება და სწორ ექვსკუთხა პრიზმებს ქმნის. შორიდან ბაზალტის ხევები უზარმაზარ, ასობით შავმილიან ორღანს მოგაგონებთ. მაგრამ, როდესაც ლავა ზღვაში ჩადის, ისეთი უცნაური წარმონაქმნები ჩნდება, რომ ძნელია მათი ჯადოსნური წარმოშობა არ დაიჯერო.

ბუნების ასეთი „ხუმრობის“ ხილვა ანტრიმის ძირში შეგიძლიათ. ზემოდან იგი ქვაფენილის მსგავსად ნაგებ ჯებირს წააგავს, რომელიც 150 მ-ზე შეჭრილა ზღვაში და შემდეგ უცებ შეწყვეტილა. „ქვაფენილის“ ყოველი ექვსკუთხა ფილა ჩვეულებრივზე დიდია – სიგანეში 15 მეტრია. ჯებირი ზღვიდან 6 მ-ის სიმაღლეზეა აღმართული და დაახლოებით 40000 ბაზალტის მწკრივისგან შედგება. ის სრუტეზე გადებულ დაუმთავრებელ ხიდს წააგავს, რომელიც თითქოს ზღაპრულმა გოლიათმა „ააგო“. მას „გიგანტების“ ქვაფენილს“ უწოდებენ.

მისი წარმოქმნის მიზეზი ცხარე კამათის საგანი გახდა. ზოგი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ტალღებმა გაქვავებული ბამბუკის ტყე გააშიშვლა. სხვები ფიქრობდნენ, რომ ეს უზარმაზარი კრისტალები ძველ ზღვაში წარმოიქმნა. უფრო მოგვიანებით კი – მათი ვულკანური წარმოშობა მიიჩნიეს უტყუარად.

ცხადია, ძველი კელტები, რომლებიც ირლანდიაში 1000 წლის წინათ ცხოვრობდნენ, გიგანტთა ქვაფენილს შეამჩნევდნენ და ამ უცნაური „ნაგებობის“ წარმოქმნის ახსნას, ფანტაზიისა და თავიანთი ფოლკლორული ტრადიციების შესაბამისად შეეცდებოდნენ.

მართლაც, ერთი ძველი ლეგენდის თანახმად, უძველეს დროს, ქვაფენილი, გოლიათმა ფინ მაკკულიმ თავისი მოსისხლე მტრის, ჰებრიდელი ფინ გალის დასამარცხებლადააშენა. ფინ მაკკული აჭედებდა სვეტებს სათითაოდ ზღვის ფსკერში, ასობდა და ასე ააგო ჯებირი მთელ სრუტეზე. ამის შემდეგ მან, მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლის დაწყებამდე დაიძინა. ფინ გალიმ, დაინახა თუ არა გზა სრუტეზე, გადაწყვიტა მეტოქისათვის ხერხით ეჯობნა და თავს პირველი დასხმოდა. ნაპირზე მან მძინარე გოლიათი დაინახა და მისმა სიდიდემ გააოცა.

– ეს ფინ მაკულია? – ჰკითხა მან გოლიათის ცოლს.

– რას ამბობ? ეს მისი ვაჟია! ის მამას წელამდეც ვერ წვდება, – იცრუა ცოლმა მტრის შესაშინებლად.

ფინ გალი ამ სიტყვებმა შეაშინა და თავისი ნაპირისაკენ გაიქცა. გზად ის გონს მოეგო და ხიდის ნგრევა დაიწყო. მაგრამ ბოლომდე დანგრევა ვერ გაბედა, იმ სვეტებს ვერ ახლო ხელი, მტრის მხარესთან ახლოს რომ იყო ჩარჭობილი, ფინ მაკკულის გაღვიძებისა შეეშინდა.

დიდხანს ამ ლეგენდას შეთხზულ, პოეტურ ამბად მიიჩნევდნენ. მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს, მოხერხდა „გიგანტთა ქვაფენილის“ არსებობის რეალობის დაჯერება. ასი წლის შემდეგ კი, როდესაც ბუნების ამ ფენომენის ილუსტრირებული აღწერა უძველესი ლეგენდის ტექსტთან ერთად გამოიცა, ამ სანაპიროზე ხალხის მასობრივი სვლა დაიწყო. გიგანტთა ქვაფენილის პოპულარობას მისი მდებარეობაც უწყობდა ხელს. იგი ქალაქ ბელფასტიდან მხოლოდ 50 კმ-ითაა დაშორებული და ცხენით ან ეტლით მისვლა იქ ერთ დღეში შეიძლება. საინტერესოა, რომ ჩრდილოეთის სრუტის აღმოსავლეთ სანაპიროზე, შოტლანდიის ნაპირებთან, ბაზალტის საფარი მრავლად გვხვდება. პატარა კუნძულ სტაფზე კი (ჰებრიდის არქიპელაგი), ფინ მაკულის ხიდიდან 120 კმ-ის დაშორებით განსაკუთრებით შთამბეჭდავია.

ერთგან ტალღებს 40-მეტრიანი ბაზალტის მწყობრი კოლონები გაუშიშვლებია და შორიდან ისე მოჩანს, თითქოს კუნძული მავწახნაგებიანი ხიმინჯების მესერზე მდებარეობსო.

ერთ ადგილას კი ზღვას ნაკლებად მღვრადი ლავის ნაკადი ჩაურეცხავს და მასში 60 მ. სიღრმის გიგანტური გამოქვაბული გამოუკვეთია. მისი კედლები, ძირი და თაღი გოლიათების ქვაფენილის მსგავსი ბაზალტის ექვსკუთხედებისგან შედგება.

თავის დროზე კუნძული სტაფი ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტმა, კუკის პირველი მოგზაურობის მონაწილემ, ცნობილმა ნატურალისტმა ჟოზეფ ბენქსმა მოინახულა. გრანდიოზული გამოქვაბულის მასშტაბებით აღფრთოვანებულმა ჟ. ბენქსმა განაცხადა, რომ იგი გოლიათის საცხოვრებელს მართლაც ჩამოჰგავდა და მისთვის „ფინგალის მღვიმის“ სახელის დარქმევა შესთავაზა, ფინ მაკკულის ლეგენდარული მოწინააღმდეგის პატივსაცემად. ბენქსის დარქმეულ სახელს შეეჩვივნენ და ახლა, ძველი თქმულების ორივე გოლიათს, სრუტის ჩრდილო სანაპიროსთან, მათი ორთაბრძოლის ისტორიასთან დაკავშირებული, უნიკალური ბუნებრივი მონუმენტები აქვთ.

ფინ გალის მღვიმის ველურმა სილამაზემ, ჯერ კიდევ რომანტიკოსი პოეტები აღაფრთოვანა და ლექსებისა და ბალადების შექმნა შთააგონა.

მწერლებში არანაკლები პოპულარობით სარგებლობს გიგანტების ქვაფენილიც ანუ „გოლიათების ბილიკი“. მღვიმე და ბილიკი ძველ დროს შექმნილ ბევრ რომანსა და ნოველაში არის აღწერილი. ბაზალტის მონუმენტები ბაირონმა და შელიმ, თეკერეიმ და ფილდინგმა ჯეროვნად დააფასეს. ამ რომანტიკულმა კედლებმა აღაფრთოვანა რუსი რომანტიკოსი პოეტი ჟუკოვსკი. უფრო მოგვიანებით, XX საუკუნეში ცნობილმა კომპოზიტორმა მენდელსონმა, თავისი ცნობილი მუსიკალური პიესა „ფინგალის გამოქვაბული“ დაწერა. ჟოზეფ ბენქსმა კი ბუნების ეს საოცრება ასე შეაფასა: მასთან შედარებით ადამიანის მიერ აშენებული ტაძრები და სასახლეები, უბრალოდ სათამაშო სახლებიაო.

მაგრამ, კუნძული სტაფი, თავისი მდებარეობის გამო, ძნელად მისადგომია და ადამიანები ფინგალის მღვიმეს მხოლოდ ფოტოთი იცნობენ. ხოლო ოლსტერის დედაქალაქ ბელფასტიდან, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეგიძლიათ ირლანდიური ბაზალტის ხიდთან მიხვიდეთ და ეწვიოთ ჩრდილოეთ ირლანდიას და ძველი გოლიათებივით ზღვის წყლით მოპრიალებულ შავ ექვსკუთხა სვეტებზე „ლეგენდარული გიგანტების“ ქვაფენილზე გაიაროთ.

მოამზადა
**ნანა ზღუდაძემ.**

სარედაქციო კოლეგია.
რედაქციის მისამართი: 380075, თბილისი მ. კოსტავას ქ. №77,
ტელ: 36-66-70, სტუ ადმინისტრაციული შენობა III სართული.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# რა იცოდა ბუშმა 11 სექტემბრის შესახებ?

**ამერიკელი კონგრესმენები მოითხოვენ, გამოიძიონ, ნამდვილად ჰქონდა თუ არა თეთრ სახლს საკმარისი ინფორმაცია საიმისოდ, რომ თავიდან აეცილებინა 11 სექტემბრის ტრაგედია, და თუ ჰქონდა, ვის მიუძღვის ბრალი დაუდევრობასა და სიბეციეში.**

კონგრესმენებმა აღიარეს, რომ გაოცებული დარჩნენ თეთრი სახლის წარმომადგენლის არი ფლეიშერის გულახდილობით, რომელმაც თქვა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ ბენ ლადენის ორგანიზაცია ამზადებდა ტერაქტებს ამერიკის წინააღმდეგ.

პრეზიდენტ ბუში ჯერ კიდევ 11 სექტემბრის მოვლენებამდე გააფრთხილეს, რომ უსამა ბენ ლადენის მოთარეშეებს გადაწყვეტილი აქვთ ამერიკის თვითმფრინავების გატაცება.

ფლეიშერის თქმით, გატაცების სამზადისის ინფორმაცია პრეზიდენტს გადაეცა სადაზვერვო სამსახურების ერთ-ერთი რეგულარული ბრიფინგის დროს, რის შემდეგაც ბუშმა, თავის მხრივ, გადასცა ეს ინფორმაცია სამართალდამცველ ორგანოებს.

ფლეიშერმა თქვა, რომ საქმე ეხებოდა ჩვეულებრივ გატაცებას, და არა თვითმკვლელი ბომბისტების იერიშებს, ან თვითმფრინავების გამოყენებას შენობების დასანგრევად. ამერიკის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ გაფრთხილების მიღების შემდეგ ძალოვანი სტრუქტურები მომეტებული მზადყოფნის მდგომარეობაში იყო მოყვანილი, თუმცა ამ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავდნენ.

თეთრი სახლი ამტკიცებს, რომ გაფრთხილება არავის უგულებელუყვია და რომ მთელი რიგი ღონისძიებანი ნამდვილად განხორციელდა უშიშროების გასაძლიერებლად. თუმცა, ისინი ძირითადად ეხებოდა ამერიკის ობიექტებს შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ. გაფრთხილებები პრესაში არ მოხვედრილა და ფედერალური გამოძიების ბიუროს რეაქცია არ მოჰყოლია.

ბიურომ არაფერი მოიმოქმედა თავისი არიზონელი წარმომადგენლის შეტყობინების მიღებისას, რომელიც იუწყებოდა, რომ ბევრმა არაბმა შეიტანა განცხადება საფრენოსნო საქმის დაუფლების, აშშ აეროპორტების მუშაობის მეთოდებისა და ფრენის უსაფრთხოების გასაცნობად.

ეფბ არიზონის წარმომადგენლობა წინადადებას იძლეოდა, შეემოწმებინათ აშშ ყველა მფრინავთა სკოლა ახლოაღმოსავლური წარმოშობის კურსანტთა გამოსავლენად, ხელისუფალთ სთავაზობდნენ აგრეთვე, შეედარებინათ საფრენოსნო საქმის შემსწავლელთა სიები იმათ სიებთან, ვინც ამერიკის ვიზის გაგრძელებას ან მიღებას ითხოვდა. მემორანდუმში გაკვრით იყო ნახსენები, აგრეთვე, უსამა ბენ ლადენი და მისი ორგანიზაცია – „ალ-ყაიდა".

მაგრამ აშშ ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ მემორანდუმი არ შეიცავდა არავითარ დამამტკიცებელ საბუთებს, რომ საფრენოსნო საქმის შემსწავლელ არაბთა ზურგს უკან უსამა ბენ ლადენი იდგა.

ბიუროს ბრალად სდებენ, რომ მან არ დაუკავშირა არიზონიდან მიღებული შეტყობინება ზაქარიას მუსაუის, მაროკოული წარმოშობის ფრანგის საქმეს, რომელიც გასული წლის აგვისტოში დააპატიმრეს მინესოტის შტატში. მუსაუის სურდა, შეესწავლა საფრენოსნო საქმე ამ შტატში, მაგრამ ამბობდა, რომ მას სულაც არ აინტერესებს, როგორ დასვას თვითმფრინავი დედამიწაზე. ამჟამად, მუსაუი, რომელსაც ბრალად ედება შეთქმულება 11 სექტემბრის ტერაქტების მოწყობის მიზნით და ბენ ლადენთან თანამშრომლობა, ასამართლებენ.

ფედერალური გამოძიების ბიუროს მეთაურს რობერტ მიულერს არაერთგზის უთქვამს, რომ მისი აგენტები უფრო ენერგიულად უნდა მოქმედებდნენ და უკავშირდებოდნენ ერთმანეთს „არიზონისა" და „მინესოტის" კვალს. ბიურო ქმნის სპეციალურ ანტიტერორისტულ ქვედანაყოფს, რომელიც ვაშინგტონში იქნება ბაზირებული. მასში იმუშავებს ასობით აგენტი და ანალიტიკოსი. ქვედანაყოფის შემადგენლობაში შევა სადაზვერვო სააგენტოც, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ცენტრალური დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი.









# ტყუპი ძმების მთავარი გატაცება

**თბილისის საციგურაო სკოლის არასტანდარტულ მოედანზე მრავალი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა. დასტურად მარინე ცერცვაძისა და ვახტანგ მურვანიძის დასახელებაც კმარა.**

**ამ მინი-საციგურაოზე ახლაც ფრთიანდებიან მომავალი ოსტატები. წამოჩიტულებს მხრების გასაშლელად სივრცე რომ არ ჰყოფნით, უცხოეთს მიაშურებენ და ზოგი სად ვარჯიშობს, ზოგი – სად.**

აქ ეზიარნენ ფიგურული ციგურაობის საიდუმლოებას ტყუპი ძმები ლერი და გიორგი კენჭაძეებიც ინგა ბუტიკაშვილის ხელმძღვანელობით. ექვსი წლისწადი ივარჯიშეს პირველ მწვრთნელთან, მერე ერთხანს ეთერ ხუციშვილთან ხვეწდნენ ოსტატობას. 1994 წელს საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე გიორგიმ ყველას აჯობა. ტყუპისცალი მას მცირედით ჩამორჩა – მეორე ადგილზე გავიდა. ორი წლის შემდეგადაც ანალოგიური შეჯიბრების კვარცხლბეკზე ისინი ასეთივე თანამიმდევრობით ავიდნენ. 1997 წელს დიდებს შორის საქართველოს თასის გათამაშებაზე, სადაც სომხებიც მონაწილეობდნენ, გიორგიმ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ლერი კი მეხუთე იყო. იმავე წელს ეროვნულ ჩემპიონატში გიორგიმ „ოქრო" დაიმსახურა, ლერიმ – „ბრინჯაო". ამ წარმატებებში მწვრთნელებთან ერთად დიდი წვლილი ქორეოგრაფ ეკა ჭითაშვილსაც მიუძღვის.

სამი წლის წინათ ბიჭებმა თურქეთის ქალაქ იზმითს მიაშურეს. ბედმა ისინი ცნობილი მოციგურავის – ალექსეი მიშინის სტუდენტსა და ასპირანტს ბულგარელ ცვეტანკა სტეფანოვას შეახვედრა.

– ჩვენი ურთიერთობა მაშინ მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდა. – მითხრა გიორგიმ, – თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ...

– მიწისძვრამ შეგვიშალა ხელი. – ჩაერია საუბარში ტყუპისცალი ლერი, – 16 აგვისტოს დაბადების დღე აღვნიშნეთ. გვიან ღამით სტუმრები რომ გავაცილეთ და დასაძინებლად ვემზადებოდით, უცებ მიწა იძრა.

– მეხუთე სართულიდან ეზოში როგორ ჩავირბინეთ, არც გვახსოვს, – განაგრძო გიორგიმ. – ჩვენ თვალწინ დაიმალა ამხელა შენობა. საბედნიეროდ, იმ სახლში არავინ დამავებულა, მაგრამ იზმითში მაშინ 14 ათასამდე კაცი დაიღუპა. იძულებული გავხდით, თბილისში დავბრუნებულიყავით...

2000 წლის ნოემბერში ბიჭებს კვლავ უხმეს თურქეთში. ისინიც მაშინვე გამეგზავრნენ იზმითს, თუმცა, დიდხანს იქ არ დარჩენილან. სტეფანოვა სამშობლოში დაბრუნდა და ტყუპებიც თან წაიყვანა.

– ერთი თვე მწვრთნელთან ვცხოვრობდით სოფიაში, – იხსენებს გიორგი. – მერე საციგურაოსთან ახლოს მისი ახლობლის ოჯახში დავბინავდით. დიდი დახმარება გაგვიწია სასპორტო კლუბ „სლავიას" დირექტორმა გიორგი მილანოვმა, რომელმაც ყოველგვარი გადასახადისგან გაგვათავისუფლა...

ბიჭები მალე შეეჩვივნენ ახალ გარემოს, საციგურაოს. შარშან აპრილში ბულგარეთის საციგურაო სპორტის ფედერაციის პრიზზე ლერიმ მესამე ადგილი დაიკავა, გიორგი მეოთხე იყო, შემოდგომით კი, შესაბამისად, პირველ და მესამე ადგილებზე გავიდნენ. დეკემბერში ახალგაზრდებს შორის ბულგარეთის პირველობაზე ლერი კვლავ პირველი იყო, გიორგი კი – მესამე.

წლეულს ძმებმა ორ შეჯიბრებაში იასპარეზეს. მარტში სოფიამ ახალგაზრდა მოციგურავეთა ტურნირს უმასპინძლა. პირველი-მეორე ადგილები, შესაბამისად, გიორგის და ლერის ხვდათ. ერთი თვის შემდეგ კი ბუქარესტში ბალკანიადაზე დიდებს შორის ლერიმ V ადგილი დაიკავა, გიორგი კი ახალგაზრდებში VII იყო.

ახლა ტყუპი ძმები კენჭაძეები თბილისში არიან. 123-ე საშუალო სკოლა-ლიცეუმის მეცხრეკლასელები გაკვეთილებს ესწრებიან, რომ ვადამდე ჩააბარონ გამოცდები და კვლავ სოფიის საციგურაოს მიაშურონ.

**– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ უცხოეთში?** – ვკითხე ძმებს, რომლებიც ორიოდე დღის წინათ რედაქციაში გვესტუმრნენ.

გიორგი: გასართობად დრო თითქმის არ გვრჩება. ბულგარული და ინგლისური ენები ვისწავლეთ, ახლა კომპიუტერს ვეუფლებით.

ლერი: დილაობით სტადიონზე დავრბივართ. მძლეოსნობის ცნობილი მწვრთნელი პეტერ ანგელოვი გვავარჯიშებს. იგი შორტ ტრეკში სოლტ ლეიქ სითის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორის – ევგენია როდანოვას მწვრთნელია. ფიზიკური წრთობისთვის რაგბისაც ვთამაშობთ და ხელბურთსაც.

გიორგი: მთავარი მაინც ყინულზე ვარჯიშია და უმეტეს ხანსაც საციგურაოზე ვატარებთ. ვეცდებით, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვავლინოთ და ქომაგები გავახაროთ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**



**სურათებზე: ძმები – გიორგი (მარცხნივ) და ლერი კენჭაძეები მწვრთნელ ცვეტანკა სტეფანოვასთან ერთად.**

# რუსეთის სათათბირო მხარს უჭერს მიწის გაყიდვას

**ხუთშაბათს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი წაკითხვით მიიღო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ბრუნვის კანონპროექტის სამთავრობო ვარიანტი.**

კანონის პროექტს მხარი დაუჭირა 256 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 143. ეს ნიშნავს, რომ სათათბიროს დეპუტატებმა ხმა მისცეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვის აკრძალვის გაუქმებას.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ბრუნვისადმი კონტროლისა და რეგულირების ფუნქციები გადაეცათ ფედერაციის სუბიექტებს. უცხოელებს ენიჭებათ რუსეთში მიწის კერძო საკუთრების უფლება, გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ საზღვრისპირა ტერიტორიები.

შემოთავაზებული ვარიანტებიდან ერთი იყო სამთავრობო, ხოლო დანარჩენი ოთხი მოამზადეს სხვადასხვა ფრაქციების დეპუტატებმა. საბოლოოდ გავიდა სამთავრობო ვარიანტი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღირებულება, რომელთა ფართობი დაახლოებით 400 მილიონ ჰექტარს შეადგენს, 100 ტრილიონ დოლარს აღემატება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაციასა და მიწის პრივატიზაციას შედეგად მოჰყვა ის, რომ რუსეთის 12 მილიონმა მოქალაქემ საკუთრებად მიიღო მიწის ნაკვეთები, მაგრამ კანონის არარსებობის გამო, ვერ განკარგავდა ამ მიწას.

სამთავრობო ვარიანტი ადგილობრივ ხელისუფალთ გადასცემს ბრუნვის რეგულირებას რეგიონში. ადგილობრივი ხელისუფალნი, ასევე, გადაწყვეტენ, რამდენი მიწა შეიძლება ჰქონდეს საკუთრებად ერთ პირს. ამასთან, ზღვრული ფართობი ფედერალური კანონით განისაზღვრება.

გარდა ამისა, სამთავრობო კანონპროექტის თანახმად, უცხოელი მოქალაქენი საკუთრებად ვერ შეიძენენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს იმ საზღვრისპირა ტერიტორიებზე, რომელთა ნუსხასაც ამტკიცებს პრეზიდენტი.









# უცნაური დაავადება

**ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ იდუმალი დაავადება, 18 ბრიტანელ სამხედროს რომ შეეყარა ავღანეთში, არ არის ბიოტერორისტული იერიშის შედეგი. ჯერ არ მომხდარა ავადმყოფობის იდენტიფიცირება, მაგრამ, ვარაუდობენ, რომ ეს კუჭ-ნაწლავის დაავადება უნდა იყოს.**

რეპორტიორებს აცნობეს, რომ ბრიტანეთის საველე ჰოსპიტლის შტაბში შემავალი 18 ქალი და მამაკაცი ავადმყოფთა სიაში რჩება. განვლილი დღის მანძილზე დაავადების ახალი შემთხვევები არ აღნუსხულა. ბრიტანეთსა და გერმანიაში ევაკუირებული ორი ავადმყოფის მდგომარეობა სტაბილიზებული გახდა. კიდევ ექვსი ავადმყოფი წაიყვანეს თვითმფრინავით ხუთშაბათს.

დღემდე ვერ დაუდგენიათ ამ დაავადების ბუნება ან მიზეზი. სამეფო საზღვაო ქვეითი ჯარის ოფიცერმა ბენ კარიმ თქვა, რომ სიმპტომები წააგავს მუცლის ტიფს – ავადმყოფობას, რომელიც კუჭ-ნაწლავის სნეულებებს განეკუთვნება.

მაგრამ პროფესორ მალკოლმ ხუპერის აზრით, ეს არის რაღაც ადგილობრივი ვირუსული ინფექცია, ყირიმული ჰემორაგიული ციებ-ცხელების მსგავსი.

ამასობაში კი ჰოსპიტალი და მისი მიდამოები დახურულ ზონად არის გამოცხადებული. 333 კაცი – ჰოსპიტლის შტატი და ბრიტანეთის კონტიგენტის სხვა სამხედრო მოსამსახურენი კარანტინში არიან. ბრიტანელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცების – ოპერაცია „ბეკასის" მონაწილეების სამედიცინო მომსახურება დროებით დაევალა გერმანელთა საველე ჰოსპიტალს. ახლა ყველა ელოდება ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის ჯეფი ჰუნის განცხადებას, რომელიც ამ საკითხზე ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში უნდა გამოვიდეს.



## ქუთაისმა უმასპინძლა

სამ დღეს გრძელდებოდა ქუთაისში 1985 და უფრო გვიან წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა საქართველოს პირველობა. ჯილდოების მოსაპოვებლად თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და აფხაზეთის 100-მდე წარმომადგენელი იბრძოდა. დაშნით ფარიკაობაში ყველას აჯობეს ქეთინო სილაგაძემ და მიხეილ ჯიქიამ, ხმლით ასპარეზობაში ოქროს მედალი ნიკოლოზ ბახსოლიანს ერგო. რაპირაში ტოლი არ ჰყავდათ ნატო ქობიაშვილს (ყველა – თბილისი) და ანდრეი ბრაკალოვს (ბათუმი).

**ამირან გოგუაძე.**



## ტურინის ხალიჩაზე

იტალიის ქალაქ ტურინში 3 დღეს გრძელდებოდა სამბისტთა ევროპის 2002 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 20 ქვეყნის 254 ფალავანი მონაწილეობდა.

პირველ დღეს ხალიჩაზე ჭაბუკები გამოვიდნენ. საქართველოს წარგზავნილთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თელაველი **მალხაზ ავეტიკოვი** (65 კგ) და თბილისელი **რევაზ ჩიკოიძე** (81 კგ). ვერცხლის მედლები ხვდათ საგარეჯოელ **უშანგ კუზანაშვილს** (48 კგ), თბილისელ **თედო აბელაშვილს** (87 კგ) და გორელ მძიმეწონოსანს **დურმიშხან ბერუაშვილს.** ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს ფოთელმა **ლევან მიქაბერიძემ** და ზესტაფონელმა **გიორგი კაკოიშვილმა** (75 კგ). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი, 2. ბელორუსი, 3. საქართველო.

შემდეგ სარბიელი ახალგაზრდებს დაეთმო. ჩემპიონობა მოიპოვეს თბილისელმა **ავთანდილ ცინცაძემ** (57 კგ) და ზესტაფონელმა მძიმეწონოსანმა **პაატა ნასრაძემ.** მეორე ადგილზე გავიდნენ ფოთელი **ნუკრი ბერაია** (48 კგ), მცხეთელი **დავით ტატიშვილი** (90 კგ) და ზესტაფონელი **იმედო გიორგაძე** (100 კგ). საქართველოს ნაკრებს 3 ბრინჯაოს მედალი შესძინეს ფოთელმა **ვალერი გიგიბერიამ** (62 კგ), თბილისელმა **იოსებ მეზვრიშვილმა** (68 კგ) და თბილისელმა **მერაბ ფანცულაიამ** (74 კგ). გუნდურ ჩათვლაში აქაც რუსებმა იმარჯვეს, ჩვენები მეორეზე გავიდნენ.

ასპარეზობის ბოლო დღეს ჩოხები მოზრდილებმა მოირგეს. ჩვენი გუნდიდან ვერცხლის მედალი დაისაკუთრა რუსთაველმა **გიორგი შუბითიძემ** (90 კგ). მესამე ადგილებზე გავიდნენ გორელი **აკაკი ხანიშვილი** (57 კგ), მცხეთელი **არჩილ ჩოხელი** (74 კგ), გორელი **ნიკო ბიბილაშვილი** (82 კგ) და ზესტაფონელი მძიმეწონოსანი **რატი ფერაძე.**

23-27 მაისს ქალაქი ურალსკი 2002 წლის მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლებს.

**შალვა ძორიძე.**



### სავარძელი ქომაგებისათვის

რაღას არ გამოიგონებს კაცი?! აი, თუნდაც ეს სავარძელი, რომელსაც ტოკიოს უნივერმაღში რეკლამას უწევს ცნობილი მოდელი კუმიკო კავაბე. ეს ახალი სავარძელი განკუთვნილია ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის. მას თუ ტელევიზორს შეუერთებთ, ხმასაც გაიგებთ და სტადიონის ტრიბუნების ჩვეულ ვიბრაციასაც იგრძნობთ. ისე რომ, თუ იაპონელ გულშემატკივარს არა აქვს საშუალება მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ბილეთის ყიდვისა, შეუძლია, რაღაც 490 ათას იენად (3828 დოლარად) შეიძინოს ეს სავარძელი და ფეხბურთის მატჩის ყურებისას მთლიანად ჩაეფლოს სტადიონის ატმოსფეროში.



### ინგლისელთა მწვრთნელი გახარებულია

სასიხარულო ცნობა მივიდა დუბაიში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის წინ ინგლისის ნაკრები ემზადება. ექიმები ირწმუნებიან, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე აუცილებლად გამოჯანმრთელდება „ნიუკასლის" ნახევარმცველი კირონ დაიერი, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში. ექიმები ასევე კმაყოფილები არიან ინგლისელთა ნაკრების კაპიტნის დევიდ ბექჰემის გამოჯანმრთელების ტემპითაც. ის ერთ კვირაში ინდივიდუალურ ვარჯიშს შეუდგება. „მას შემდეგ, რაც ტრავმების გამო ჩვენ დავკარგეთ ჯერარდი და ჰარი ნევილი, კირონის დაბრუნება გულზე მალამოსავით მოგვეცხო, – განაცხადა გახარებულმა სვენ-ერან ერიქსონმა. – დარწმუნებული ვარ, მას და ბექჰემს ჩემპიონატის დასაწყისისათვის ტკივილები აღარც ეხსომებათ?"

დუბაიში ბოლო ვარჯიშების ნახევარი 11-მეტრიანი საჯარიმოების დარტყმის დამუშავებას მიეძღვნება. ეს შემთხვევით როდია. შეგახსენებთ, რომ ბოლო 12 წელიწადში დიდ ტურნირებზე ინგლისელები სამჯერ დამარცხდნენ პენალტების გაცუდების გამო – 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალებში და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში.

### რეკორდი ევერესტზე

როგორც ნეპალის დედაქალაქ კატმანდუდან იტყობინებიან, გუშინწინ დამყარდა უნიკალური მსოფლიო რეკორდი: დღე-ღამის განმავლობაში მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე – ევერესტზე (8848 მ) ავიდა 53 კაცი. ალპინისტთა ასეთ მრავალრიცხოვან ჯგუფში იყო ტემი თენსინგი – შვილიშვილი სახელგანთქმული შერპისა – ნორგეი თენსინგისა, რომელმაც 1953 წელს, ახალზელანდიელ ედმუნდ ჰილართან ერთად, პირველმა დაიპყრო ევერესტი.

### ლობანოვსკი უკანასკნელ გზაზე გააცილეს

გუშინწინ უკრაინის დედაქალაქ კიევში, „დინამოს" სტადიონზე, რომელიც ამიერიდან ვალერი ლობანოვსკის სახელობისაა, ფეხბურთელები, კოლეგები, გულშემატკივრები ეთხოვებოდნენ სახელოვან ფეხბურთელსა და მწვრთნელს. პანაშვიდზე მივიდა უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, რომლის ბრძანებულებითაც ვალერი ლობანოვსკის სიკვდილის შემდეგ მიენიჭა უკრაინის გმირის წოდება.

ლობანოვსკი დაკრძალეს ბაიკოვის სასაფლაოზე, თავისი ყოფილი თანაკლუბელის, გამოჩენილი მეკარის ვიქტორ ბანნიკოვის მახლობლად.





## ციცხალი ამბები



**რუსეთელმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ ოფიციალური მიწვევა მიიღო რომში დაგეგმილ საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ 224 ათასი დოლარია.**




**ტოკიოს საერთაშორისო აეროპორტ ნარიტაში პარასკევს ჩაიტანეს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისათვის განკუთვნილი ბურთები, რომლებიც ფირმა „ADIDAS"-მა გამოუშვა. ბურთები სპეციალურად ძველი იაპონელი „ნინძა-მეომრების" ვარსკვლავ-იარაღების სიმბოლოებითაა მოხატული.**



**რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ერთსულოვანი მოთხოვნა გაუგზავნეს, რათა 2008 წელს რუსეთმა უმასპინძლოს ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში.**

**სპორტის რედაქცია**

# ბაღდადმა გაეროს პირობები გაიზიარა

**ერაყმა მიიღო ახალი პირობები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ შესთავაზა ბაღდადზე დაკისრებული სანქციების შესამსუბუქებლად.**

სანქციების რეჟიმის შეცვლა წინა კვირას გამოცხადდა. როგორც ვარაუდობენ, ერაყის მთავრობას ახლა შეუძლია, ნავთობის გაყიდვით მიღებული ფული გამოიყენოს პრაქტიკულად ნებისმიერი საქონლის შესაძენად. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მაღალტექნოლოგიური მოწყობილობა და ყოველივე ის, რაც შეიძლება, სამხედრო მიზნებს ემსახურებოდეს. დიპლომატთა თქმით, სანქციების რეჟიმის შესუსტება მიზნად ისახავს, მოუსპოს ერაყის მთავრობას შესაძლებლობა, პროპაგანდისტული მიზნით იყენებდეს სანქციების არსებობას.

ახალი შეთანხმებების შესაბამისად, გაიზრდება ჰუმანიტარული დახმარებისა და სხვა იმ საქონლის მოცულობა, რომელიც უშუალოდ ეგზავნება ერაყის სამოქალაქო მოსახლეობას.

ამავე დროს, არსებობს გაეროს მიერ მომზადებული 332-გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია „ორმაგი დანიშნულების" საქონელი.

ამჟამად, ერაყში ჰუმანიტარული ტვირთების მიწოდების ნებართვას გასცემს გაეროს სპეციალური კომიტეტი, რასაც ხშირად მოსდევს ხოლმე წამლებისა და სხვა უპირველესი საჭიროების საქონლის ჩატანის დაგვიანება და ნაკლებობა.

თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ ახალი სქემა „დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ერაყელი ხალხისათვის". ამავე დროს, ხაზს უსვამენ, რომ ახლა ბაღდადმა ყველაფერი უნდა იღონოს თავისი მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.



**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
არჩილ მანჯგალაძემ.**



## სააქციო საზოგადოება „კავკასავტომაგისტრალის" აქციონერთა საყურადღებოდ!

**2002 წლის 11 ივნისს, დღის 12 საათზე გაიმართება აქციონერთა საერთო კრება**

<u>დღის წესრიგი:</u>

1. გენერალური დირექტორის ანგარიში: 2001 წლის სამეურნეო, საფინანსო საქმიანობის შედეგები და მოგების განაწილება.
2. 2002 წლის პროგრამის განხილვა და დამტკიცება.
3. 2001 წლის აუდიტორული დასკვნის დამტკიცება.
4. მიმდინარე საკითხები.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

**მისამართი:** ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, თეთრიხევიჰესი, ახვლედიანის 24.

## განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

**შპს „ჯეორჯია"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე**

ჭიათურის რაიონში საჩხერის გზატკეცილზე განთავსებული მანგანუმის დაქანგული მადნის გამამდიდრებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

**შპს „ბრიქ-იარდ კომპანი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე**

სამგორისა და ნორიოს სააგურე თიხების გამოვლინების დამუშავებისა და აგურის დამამზადებელი საწარმოს პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2002 წ. 1 ივლისამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას №68 ა VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში თბილისი, ფალიაშვილის №87 ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 2 ივლისს 12.00 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

სააქციო საზოგადოება **„სინემა კლუბის"** დირექცია გაცნობებთ, რომ აქციონერთა საერთო კრება, ნაცვლად ა. წ. 4 აპრილს გამოცხადებული 30 მაისისა, ჩატარდება 12 ივნისს, დღის 12.00 საათზე. იგივე დღის წესრიგით.

მისამართი:

ძმები კაკაბაძეების ქ. №2;

„კინოს სახლის" მცირე კინოდარბაზი

**აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 10-11 ივნისს.**

სს „სინემა კლუბის" დირექცია.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის მკვიდრი ივანე ალმასხანის ძე ლოგუა, დედასთან ელისაბედ წულეისკირთან, მეუღლე – ლიზა კვარაცხელიასა და ვაჟიშვილებთან – ალექსანდრე და ბაგრატთან ერთად.

გადაღებულია 1922 წელს.

ფოტო მოგვაწოდა გულთამ ლოგუამ.

## ხსოვნა გულისა

# პატივი მიაგეს დაცემულ მეგობრებს

დედაქალაქის საგზაო პოლიციის სამმართველოს კოლექტივმა პატივი მიაგო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული კოლეგების ხსოვნას.

უკვე მე-4 წელია, რაც ამ უწყებაში ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება აღინიშნება და, შეიძლება ითქვას, მან ტრადიციული სახე მიიღო. ამ დღის ღირსანიშნავად მოწვეულნი იყვნენ დაღუპულთა ოჯახების წევრები. მათ მადლობა გადაუხადეს სამმართველოს იმ თანამშრომლებს, რომლებმაც ასე დააფასეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და წესრიგის დაცვის განმტკიცებისათვის თავდადებულ ვაჟკაცთა ხსოვნა. ღონისძიებაზე დედაქალაქის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსმა გიორგი ბერაძემ აღნიშნა, რომ გმირულად დაღუპულ პოლიციელთა თავგანწირვა სამაგალითო უნდა იყოს მომავალი პროფესიული კადრების მომზადების საქმეში.

– ხსოვნის დღის ეს ლამაზი ტრადიცია უნდა შევინარჩუნოთ და დაღუპულთა ოჯახებს მაქსიმალურად ამოვუდგეთ მხარში, – განაცხადა მან.

ამის შემდეგ გიორგი ბერაძემ მამაცობისათვის მედლები და საჩუქრები გადასცა დაღუპულ კოლეგათა ოჯახების წევრებს. ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარმა მამა ალექსიმ კი პარაკლისი გადაიხადა და აკურთხა საგზაო პოლიციის ეზოში 4 წლის წინათ აღმართული ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ობელისკი.

საქინფორმი.



## ტელევიზია — შაბათი, 18 მაისი

08.00 მოამბე 08.15 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 08.40 მხიარული კარუსელი 09.05 ფრანგული პროგრამა "საუკუნის გიგანტები" 10.00 დილის პაემანი 11.05 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 11.30 ქართული ენის გაკვეთილი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.25 კვალი 12.50 სანინდარი 13.20 ტელე-სინე-ვიდეო 14.00 "გლობუსი" 14.35 50-50 15.00, 00.00 მოამბე 15.15 დოკ. ფილმი "**ქანი... 400 დარტყმა**" 16.45 "მინის პროექტი საქართველოში" 17.10 ვიცი 17.40 "მრავალჟამიერ" 18.10 საქართველო და გარე სამყარო 18.40 ტელე ზღაპარი 19.00 ვესტნიკი 19.35 მთელი ეს ტელევიზია 20.00 ტაიმაუტი 21.00 "მაესტრო - ამბობენ" 21.40 ენა დედაა ერისა 22.05 "დიდების ზღაპარი" 22.35 ქიმერიონი 23.20 მუს. პიტპარადი "მეალომანია" 00.15 მხ. ფილმი "**სუპერ ქურდობა მილანში**"

19.00, 22.00 მოამბე 19.10 ორატორი 19.30 შვიდეული 20.30 ენერგია 21.00 დოკ. ფილმი "ჰოლივუდის ვარსკვლავები" 21.30 ახლო ხედი 22.10 პიტ-პარადი 22.20 მხ.ფილმი "**ლამაზმანი ჯო**"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 12.30 მუსიკა 12.40 სერიალი "**ნიკიტა**" 13.35 მხ.ფილმი 15.35 სიმფსონები 15.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა 16.50 მხ.ფილმი 18.00, 00.00 კურიერი 18.25 მხ.ფილმი 21.00 **კურიერი P.S. 22.00 ფსიქო**. მხ.ფ. "**კიკა**", რეჟ. პედრო ალმადოვარი 00.15 მხ.ფ. "**სნაიპერი**". მთ.როლებში: თომ ბერენჯერი, ბილი ზეინი 02.00 ღამის ჯაზი

იბერია

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.05, 11.55, 20.20, 22.15, 00.50 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "**და ვინ ამბოგს სამს?**" 10.10 მხ.ფ. "**ძარცვა**" 20.25 მხ.ფ. "**მექანიკური სუიტა**" 22.15 მხ.ფ. "**გველის შხამი**"

12.00 მხ.ფ. "**ფლაბერი**" 13.30 მხ.ფ. "**გაქურდვა ინგლისურად**" 15.10 მხ.ფილმი "**ძკვიანი უილ ჰანტინგი**" 17.10 მხ.ფილმი "**მისის დაუტფაიერი**" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.15 საბავშვო პროგრამა 19.30 მუსიკა 21.00 მხ.ფილმი "**გარჩევები პატარა ტოკიოში**" 22.30 მხ.ფ. "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური**" 00.20 მხ.ფ. "**იდეალური მკვლელობა**"

## გამოფენა

**„არ შემიძლია ცხოვრება რუსთაველის გამზირზე გასეირნების და მშვენიერი ქალბატონების ხილვის გარეშე“.**

**ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი.**

... ორიგინალურ და არაორდინალურ ექსპოზიციათა ტრადიციული ციკლი კვლავაც გრძელდება და მიმდინარეობს...

ჟურნალ „ომეგას“ გალერეა უნიკალური და უნივერსალური, შესანიშნავი და იშვიათად კოლორიტული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს დაუპყრია. წარმოდგენილ ნამუშევართა ფერწერული სისადავე და სინაზე, კომპოზიციური ხაზის აგების თავისებური მანერა და სტილი, დახვეწილი რომანტიკული ხედვა, ქალის მშვენიერებით დაუფარავი აღტაცება გაზავებული შინაგან ემოციურ სამყაროსთან, უმალვე ცხადყოფს არაჩვეულებრივი მხატვრის განსხვავებულ ხელწერას; იმ მხატვრისა, რომელიც სიკვდილის შემდეგ თითქმის ხელახლად აღმოაჩინეს და ფართოდ აღიარეს; იმ შემოქმედისა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა და ბედი, კვალი და სახელი დაამჩნია ქართულ მხატვრობას – ეს ფერმწერი ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი გახლავთ.

სწორედ ამ ხელოვანის შემოქმედებისადმი თაყვანისცემისა და პატივისცემის მიზნით „ომეგა ჯგუფის“ და პირადად მისი დამფუძნებლის, პარლამენტარ ზაზა ოქუაშვილის თაოსნობითა და ძალისხმევით საგამოფენო სივრცე დაეთმო მხატვრის სხვადასხვა პერიოდში შესრულებულ მრავალისმეტყველ ქმნილებებს – თბილისური კერძო კოლექციებიდან წარმოდგენილ ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ ჩანახატებს. იმ ძვირფას ექსპონატებს, რომლებიც დღემდე მესაკუთრეებს სათუთად და ფრთხილად, განძად შემოუნახავთ...

მხატვრის ფერწერული ინტერესი, ფერთა კომპლექსური მისტერია და ძიება, მათი გამომსახველობა ხან მსუბუქად და ხანაც კონტრასტულად ტილოზე, ქალთა სილამაზის აღწერილობითა და გაცდმოცემით გამოიკვეთება, დინამიკურ პორტრეტებსა და შიშველ მოტივებში – „ელენე ვაჩნაძე-გამრეკელის პორტრეტი“ (1933 წ.), „ქეთევან პატარიძის პორტრეტი“ (1933 წ.) „თინა ქუთათელაძის პორტრეტი“ (1930-იანი წლების ბოლო), „თუთიყუშების გამყიდველი“ (1956 წ.), „მირელ ზღანევიჩის პორტრეტი“ (1949 წ.), „თავლახრილი ვიოლა“ (1961 წ.), „მუხლმოდრეკილი ნიუ“ (1964 წ.), „მიტოვებული ლიდია“ (1938 წ.), „მანიურკას პორტრეტი“ (1952 წ.)... საკმაოდ ექსპრესიულია გრაფიკული ნამუშევრები და ექსპრომტად შესრულებული ჩანახატები ნატურიდან. ყოველი მათგანი გიზიდავთ დამახასიათებელი მანერით, ესთეტიკური დახვეწილობით, სიმსუბუქითა და გრაციოზულობით: „ვავა მირიმანოვას პორტრეტი“ (1922 წ.), „დიმიტრი მარკევიჩის პორტრეტი“ (1924 წ.), „ევგენია მარკევიჩი“ (1924 წ.), „ნანა გედევანიშვილი“ (1949 წ.)...

– ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი მართლაც დიდებული მხატვარი იყო და შემიძლია ვთქვა, რომ ევროპელ მხატვრებს თავისი შემოქმედებითა და ხელწერით გაუსწრებს კიდეც. არაჩვეულებრივად სავსე პორტრეტები აქვს, რომლებშიც იკითხება ღრმა სიყვარული და სითბო ადამიანების მიმართ, ლამაზი ქალების მიმართ. ეს გულწრფელობა ყოველ ნამუშევარში ჩანს. აღფრთოვანებული ვარ მისით და ბედნიერი, რომ ასეთ შესანიშნავ მხატვარს პირადად ვიცნობდი. დიდი მოწიწებითა და თაყვანისცემით ვიყავი მის მიმართ გამსჭვალული და დღემდე მოხიბლული ვარ, – აღნიშნა მხატვარმა ლეონარდო შენგელიამ.



– მისივე მეუღლე ლიდია მიშკორუდნიკოვა გახლდათ... „დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის შემოქმედებაზე და მის გენიალურ ფერწერაზე. მომსწრე ვიყავი, როცა 1966 წელს ეროვნულ გალერეაში მისი შესანიშნავი პერსონალური გამოფენა გაიმართა, მაშინ მისმა თითქმის ყველა ნამუშევარმა მოიყარა თავი და გამოჩნდა უდიდესი მხატვარი, უდიდესი პროფესიონალი, ობის გაგრძელებაა, რასაც ქართული კულტურის გადარჩენა ჰქვია. ამასვე ეხმაურება ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს გამოფენა და აქ წარმოდგენილ ნამუშევართა კატალოგის მაღალპოლიგრაფიულ და დახვეწილ დონეზე გამოცემა...

– „მე ბევრი მინახავს უფრო ვრცელი დარბაზები, მაგრამ ცარიელი დიდი ხელოვნებისგან და დამთვალიერებლისგან. დღევანდელი დღე გახლავთ იმის ნიმუში, თუ როგორ შეუძლია მცირედ სივრცეს ესოდენ დიდი ხელოვნება დაიტიოს და მოიზიდოს თაყვანისმცემლები და შემფასებლები. ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის შემოქმედება არის განუყოფელი ნაწილი XX საუკუნის ქართული კულტურისა, თბილისური კულტურისა, რომელიც არაჩვეულებრივად ასახა და დაგვიტოვა. XX საუკუნის ქართული მხატვრობა, რომელიც ასე მდიდარია ბრწყინვალე მხატვრებით, წარმოუდგენელია ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის გარეშე, რომელიც შემოქმედებით სიმაღლეზე აიყვანა ჩვენმა ახალმა თაობამ. მადლობა მის უკვდავ სულს, მის არაჩვეულებრივ მოღვაწეობას და შესანიშნავ მემკვიდრეობას“, – ბრძანა ბატონმა გურამ შარაძემ.

# ... მთელი არსებით ქართველი მხატვარი

... ექსპოზიციაზე თავმოყრილი ნამუშევრები ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის დიდი მემკვიდრეობის ის მცირე ნაწილია, რამაც აიძულა დამთვალიერებელი მხატვრის თანამოაზრე, მისი იდუმალი სამყაროს გამზიარებელი გამხდარიყო, განეცადა უკიდეგანო ექსტაზი, შეეგრძნო სრული ოსტატობა და... და გაემდიდრებინა წარმოდგენა-შეხედულება, როგორც ითქვა, „უბედო ბედნიერი“ მაესტროს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იმ პიროვნებაზე, რომელსაც იტაცებდა რენესანსის ხელოვნებაც, აღმოსავლური კოლორიტიც, მეგობრობდა ნოვატორ-მხატვრებთან და მიისწრაფოდა ახალი მხატვრული ენის სათავეებისკენ...

ამასობაში კი მისეულ ხელწერას, საკუთარ „მე“-ს ეძიებდა, არ ასვენებდა მაშინაც კი, როცა ბარათაშვილის ქუჩიდან რუსთაველის გამზირზე „ახირებულად ხეტიალობდა“, შინდაბრუნებული – ხატავდა, მუშაობდა და ქმნიდა მის წარმოსახვაში ასახულ ქალთა იდეალს, ანუ მშვენიერებას. თუმცა კი, მისი შთაგონების მუდმივი წყარო უნიჭიერესი კაცი, რომელიც შესანიშნავად გრძნობდა არა მარტო ფერს, არამედ თვით ფერწერას. სამწუხაროა და ეს ხშირად ასე ხდება ხოლმე, როცა ცოცხალი იყო, სათანადოდ არ დააფასეს, არც ბინა მისცეს, არც სახელოსნო, აკადემიიდან გააგდეს... ახლა კი დაეაფასეთ... და იცით, რას მიექციე ყურადღება? რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მცირდება მისი ნამუშევრები და თუ ეს ასე გაგრძელდა, ათ წელიწადში ველარაფერსაც ენახავთ“. – გვითხრა მხატვარმა ჯოვანი ვეფხვაძემ.

... და კიდევ, ეს გამოფენა ერთ განკერძოებულ მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ, – წარსულის ხსოვნის გარეშე მომავლის იდეებიც ვერ მოიაზრება. ამიტომაც „ომეგა ჯგუფის“ მიერ მოწყობილი ეს ღირსშესანიშნავი ექსპოზიცია, იმ წამოწყებული მასშტაბური მოძრა-

... და მაინც, როგორი იყო ეს მთელი არსებით ქართველი მხატვარი მისი ქალიშვილის, ზულეიკას მოგონებით?

– „ძალიან მოსიყვარულე და ნაზი პიროვნება, მიუხედავად ჩვენს შორის ასაკობრივი ზღვარისა, ჩვენ ვმეგობრობდით და ისე მესაუბრებოდა, როგორც მოზრდილ ადამიანს. მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო ქალებთან. მას სილამაზის სჯეროდა და ქალური მშვენიერება აჯადოებდა, ახალგაზრდული სული ჰქონდა და ეს ცოცხლად ჩანს მის პორტრეტებში, რომლებიც დიდი სიყვარულით არის დახატული, ის მართლაც დიდი ოსტატი იყო, თუმცა არ იყო კონსერვატული, აბსტრაქციებიც მოსწონდა და უყვარდა XX საუკუნის მხატვრობა. განსაკუთრებით მეგობრობდა ლადო გუდიაშვილთან და სულ ერთად იყვნენ. მე ძალიან ბედნიერი ვარ ამ შესანიშნავი და ლამაზი გამოფენით და დიდი მადლობა „ომეგა-ჯგუფს“.

გვინდა ამ მადლიერებას ჩვენი ხმაც შევმატოთ, რადგან „ომეგა ჯგუფის“ ღვაწლი, რომელიც მას ქართული კულტურისადმი მიუძღვის, მართლაც, დიდია და შთამბეჭდავი, თვით ბატონ ზაზა ოქუაშვილის ქველმოქმედებისაკენ სწრაფვა და სიკეთის ქმნის უნარი კი, ალბათ, მრავალთათვის სანიმუშოა და ვიმედოვნებ, რომ ეს მიმართება არასოდეს შეიცვლება.

**მზეხა მახარაძე.**





**სურათებზე: ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი და მისი ნამუშევრები: „მიქელ პატარიძის პორტრეტი“ და „ორნი“.**

## ღიმილის დოზა



ორი საათით მეტროსთვის ელექტროენერგიის გამორთვის გამო რაჭველებს ზუსტად ამდენივე დროის განმავლობაში ესკალატორზე დგომა მოუწიათ.

***

დაბრუნდა რაჭველი სახლში. ხედავს ცოლი ტირის.

— რა მოხდა? — ეკითხება ცოლს.

— ჩვენ მალე შვილი გვეყოლება, მაგრამ შენ უნდა იცოდე, რომ ბავშვი მეზობლისაა.

— დიდი ამბავი, ნახე რა შენც პრობლემა! მეზობელს არაფერი ვუთხრათ და ბავშვი ჩვენ დავიტოვოთ.

***

დირექტორი ემშვიდობება თანამშრომელს, რომელიც სხვა სამუშაოზე გადადის.

— ძალიან მიგეჩვიეთ და გული მწყდება, რომ მიდიხართ. ჩემთვის შვილივით იყავით — იმასავით უპასუხისმგებლო, ზარმაცი და უვიცი.

***

— დედა, დედა, სკოლაში დამცინიან, მეუბნებიან, ძალიან დიდი პირი გაქვსო.

— ნუ უგდებ ყურს იმათ ყბედობას! ახლა წადი, შენი ნიჩაბი მოიტანე რომ ისადილო.

## გამოფენა

# „ჰორიზონტის“ ჰორიზონტი

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველ გამოფენას უმასპინძლა 16 მაისს პარლამენტმა. გამოფენა რუსთაველის სახელობის დარბაზში გაიხსნა პარლამენტის უშუალო ხელშეწყობით და მესამე სექტორის ფონდის „ჰორიზონტის“ ორგანიზატორობით.

„არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს სამსახურში“ – ამ დევიზით გამართულ გამოფენაში თბილისის, თელავის, გორის, ოზურგეთის, რუსთავის, ახალციხის, ზუგდიდის 35-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობდა. მათ მიერ მომზადებულ ექსპოზიციაში პარლამენტარებისათვის წარმოდგენილი იყო ინფორმაცია და ლიტერატურა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. ამ გამოფენით დაიწყო კამპანია „ngo-ებს მოაქვთ ცვლილება“.

გამოფენის მონაწილეებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიესალმა. მან აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიის ხარისხს განაპირობებს თავისუფალი პრესა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობა. არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ, პარლამენტი მათთან აქტიურად თანამშრომლობდა და ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

საქინფორმი.



## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ 2002 წლის პირველი ნახევრისთვის. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა გაიაფებულია და პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ექსპედირების ხარჯის ჩაუთვლელად ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, ექვსი თვით – 78 ლარი.

**მსურველებს** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა შეუძლიათ პრესის გამავრცელებელ შემდეგ ორგანიზაციებში: სს „საქპრესა“ (ტელ: 93-30-54); სს „მაცნე“ (ტელ: 37-47-49); შპს „უწყებანი“ (ტელ: 93-64-72); შპს „ექსპრესი“ (ტელ: 96-23-11); შპს „პლანეტა-ფორტე“ (ტელ: 93-38-73); შპს „რუბიკონი“ (ტელ: 93-46-00); შპს „პილონი“ (ტელ: 34-77-43); შპს „ინფოსერვისი“ (ტელ: 95-48-82).

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.**

## ხსოვნა

### ალექსანდრე ივანიაძე



გარდაიცვალა საქართველოს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დამსახურებული გამომგონებელი **ალექსანდრე (საშა) ილიას ძე ივანიაძე.**

ბატონი ალექსანდრე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა მანქანათმშენებლობას, ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, თავისი საქმის ღრმა ცოდნით და სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით როგორც თანამშრომლებს შორის, ისე სრულიად საქართველოსა და ყოფილი კავშირის მასშტაბითაც კი.

1962 წლიდან იყო სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ყოფილი საკავშირო სამინისტროს სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორისა და საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი. გამოქვეყნებული აქვს 29 სამეცნიერო შრომა და 12 გამოგონება. იყო სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანაქანათმშენებლობის საერთაშორისო გამოფენების არაერთგზის მონაწილე. დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

ბატონი ალექსანდრეს ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

მეგობრები.

### ლეილა სებისკვერაძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ლეილა ლევანის ასული სებისკვერაძე.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მის მიერ გამოქვეყნებულია 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მრავალი პოპულარული ხასიათის ბროშურა და საგაზეთო სტატია. ქალბატონი ლეილა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქალთა მოსახლეობის სამედიცინო ცოდნის და სანგანათლების ამაღლების მიმართ. გარდა ამისა, ის უწევდა მეთოდურ და ორგანიზაციულ დახმარებას საქართველოს რაიონებს.

წლების მანძილზე უძღვებოდა ინსტიტუტში საშუალო მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს.

ლეილა სებისკვერაძე იყო უაღრესად განათლებული, ფართო ერუდიციის მქონე პიროვნება. მან უმწიკვლოდ განვლო ცხოვრების რთული გზა, იყო კარგი ექიმი, ჭეშმარიტი მეგობარი, კეთილსინდისიერი, მოსიყვარულე ადამიანი, სამაგალითო დედა.

ქალბატონი ლეილა ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან როგორც მოქალაქე, როგორც ექიმი და როგორც დედა. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საქართველოს მეანობა-გინეკოლოგიის საზოგადოება, თბილისის სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის №1 კათედრა.**

---

ლია ომანიძე და თეიმურაზ კინწურაშვილი თანაუგრძნობენ თემურ ისაკაძეს და ნონა გობეჩიას დედის

მერი მოდებაძე-ისაკაძის

გარდაცვალების გამო.

---

სტუ-ს რექტორატი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის დოცენტების თამარ და მერაბ ჭანტურიების დედა

ქეთევან ჭავჭავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე კათედრის გამგეს უჩა დვალიშვილს მამის

ლევან დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის ფიტოსანიტარიული კარანტინის სახ. ინსპექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსპექციის თანამშრომლის მამუკა ივანიაძის მამა

ალექსანდრე ივანიაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ფარნაოზ დუღაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია თანაუგრძნობს ირაკლი დუღაშვილს მამის

ფარნაოზ დუღაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ჰოლდინგური კომპანია საქსამთომეტალურგია“ სამძიმარს უცხადებს ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ვახტანგ ჭეიშვილს დედის

ნატა ჭეუხოძე-ჭეიშვილის

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

---

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება წალენჯიხის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, მთავარი რეგისტრატორის

მერაბ მესხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოგულია, ბექა ჩედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13. ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.